

# ბიბლიოტეკა

საქართველოს  
ბიბლიოთეკა





# პიონერი

№ 9 სექტემბერი 1949

გამომცემლობა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შოველთვიური საბავშვო ჟურნალი

„კომუნისტა“

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



სამშობლოს სადარაჯოზე



პირი მწელი

რა არ ვნახე ამ ზაფხულზე:  
 მთა, მდინარე, მწვანე ტევრი...  
 ბევრი ვმკე და ბევრი ვთიბე,  
 თავთავებიც ვკრიფე ბევრი.

ვინახულე ბარაკონი,  
 ძველი ციხე-დარბაზები,  
 ლაქვარდები მოვლვარე  
 ფირუზით და აღმასებით;

მზის ამოსვლა, ცის გუმბათი,  
 ხან კრიალა, ხან პირქუში;  
 წვიმის შემდეგ ცისარტყელა  
 სიყვარულით ჩამრჩა გულში!

ახლა აქ ვარ... დედაქალაქს  
 რა საამო ამკობს დარი;  
 დღეს ზემით მხიარულით  
 დაირეკა სკოლის ზარი!

და ამღერდა კვლავ ღღეები:  
 — ჰერი ბიჭო...  
 სკოლა...

სწავლა...  
 შემოდგომის მობრძანებამ  
 კვლავ გმირული გვატოს ძალა;

გვაცისკროვნონ კვლავ წიგნებმა;  
 ცოდნის სიო სულ გვეფეროს...  
 ო, ნანატრო უთვალავჯერ—  
 გამარჯობა სექტემბერო!





მოვიდა სექტემბერი, სიხარულისა და ბედნიერების თვე,—ახალი სასწავლო წლის დაწყების თვე. მიწურა წაფხული. კარგახანია პიონერთა ბანაკებში დაეშვა ანაწა წითელი აღმებით. დამთავრდა ხალისიანი, საინტერესო სახაფხულო არდადეგები. კიდევ ერთი ძვირფასი წაფხულით გამდიდრდა თქვენი მოგონებანი, შთაბეჭდილებანი. არახოდეხ დაგავიწყდებათ ბანაკებში, კურორტებზე, შთაში თუ ბარში, ქალაქად თუ სოფელად გატარებული ტკბილი დღეები მცხუნვარე წაფხულისა. ახალი საინტერესო ფურცლები შეემატა თქვენს დღიურებს. არდადეგების პერიოდში შეგროვილი მცენარეთა ახალი კოლექციები, ჭერბარიუმები, აღბიომები და მაკეტები მოგაბანიით მშობლიურ სკოლებში, კვლავ გაცოცხლდა ახალი ექსპონატებით თქვენი სკოლის პიონერთა ოთახები, ბიოლოგიის თუ ფიზიკის, ზოოლოგიის თუ ბოტანიკის კუთხეები.

ცხოველყოფილმა მზის სხივებმა, სუფთა ჰაერმა და წყალმა გაგიკაფათ სხეული, ენერჯია შეგმატათ დახვეწებული, ძვირფასი მასწავლებლებისა და მეგობრების ნახვას დანატრეხული დაუბრუნდით მშობლიურ სკოლებს, სწავლასმოწურებული მიუსხედით მირჩებს, სულგანაზული უსმინო გაკვეთილებს, სიხარულს განიჭებთ ახალი სახელმძღვანელოები. თქვენ კვლავ დაეწაფეთ სწავლას. პირველი სექტემბერიდანვე შეუნდებელი ენერჯიით, შეუპოვრობითა და სიხეჯითით ცდილობთ დრმად შეითვისოთ ახსნილი, მტკიცედ შეისწავლოთ ყოველი გაკვეთილი.

ეს ახეც უნდა იყოს. — კარგად დაწემა ხომ საქმის ნახევარია! ცუდია მეცადინეობის გადადება „მედლე მებავალიოზა“. სამუშაო დრო იხე უნდა გამოიყენოთ, რომ გაკვეთილების საფუძვლიანად მოწინააღმდეგებთან ერთად შესძლოთ აგრეთვე გონივრული გართობა—დახვენება. კლასგარეშე საქმიანობისათვის, ძვირფასია თვითეული წუთი—მას რაციონალურად უნდა გამოიყენება.

პიონერს, მოსწავლეს უფლება არა აქვს გულგრილად მოეციოს თავის უპირველეს მოვალეობას—სწავლას. შეხედეთ თქვენს სკოლას!—რა მშვენიერ შენობაშია იგი მოთავსებული. რა კარგი საკლასო ოთახები და კაბინეტები გაქვთ, დააკვირდით თქვენს სახელმძღვანელო წიგნებსა და რვეულებს—მილიონობითაა ისინი დაზვედრალი და გამოშვებული. ეს ყველაფერი ხალხის შრომითაა მოპოვებული, ეს ყველაფერი პარტიისა და მთავრობის მწარუნველობის შედეგია. თქვენზე ზრუნავს დიდი ხტალინი. ამ ზრუნვას და ამავს თქვენი ბეჯითი სწავლით უნდა უპასუხოთ.

თქვენ ოცნებობთ ვახდეთ საბჭოთა კავშირის გამიერები, სოციალისტური შრომის გმირები, ხტალიური პრემიის ლაურეატები, სამშობლოს სახელგანთადი ადამიანები, ხალხის ღირსეული მხახურნი. მაგრამ ეს ოცნება ოცნებად დარჩება, თუ მას თან არ ახლავს დიდი შრომა და განუწყვეტელი სწავლა. სკოლაში თქვენ უფულებით მეცნიერების საფუძვლებს. ყოველი სავანი გზას გადავიღებთ მეცნიერების მწვერვალებსაკენ. ცდება ის ვინც ერთს ან რამდენიმე სავანს აიარჩევს ხოლმე, დანარჩენის შესწავლას უგაფლოდ ეკიდება. ყოველი სავანი, რომელსაც თქვენ სკოლაში გასწავლიან, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ყოველი რგოლი მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

ახლა ცოდნაა მთავარი; ცოდნა ყველაზე დიდი ძალაა ჩვენს ცხოვრებაში. ცოდნა კი სწავლის გარეშე არ მოვა. პიონერს მუდამ უნდა ახსოვდეს ლენინის ბრძნული ანდერძი — „სწავლა, სწავლა და ისევ სწავლა“.

ისწავლეთ ისე, რომ მშობლიური ხტალინის მადლობა დამისახსროთ.





# ბელოდის სურათი

ქართული  
რევოლუციური  
პარტიზანი

ნან. ა. ბანძელაძისა

## არღონ ჩარნიძე

## მთხრობა

ვან-დიუ-ჩენი უღარიბესი ჩინელი იყო, — მძიმე შრომისა და არაადამიანური ცხოვრებისაგან წყალში მოხრილი. ის ცხოვრობდა ზღვისპირა ქალაქ ინკოუსი და იშვიათად თუ დასტოვებდა მას. ვან-დიუ-ჩენის ერთადერთი საკუთრებას ერთი მოძველებული ორთველი შეადგენდა, რომელშიაც როგორც პირველადი შეგებებოდა ადრე დილით და მთელი დღე დაატარებდა ტვირთს ქალაქში.

საოცარი ღონე ჰქონდა, შეეძლო დიდხანს მუშავა თავულებლივ, და მხოლოდ მაშინ, როცა მის შიშისაგან გარუჯულ ზურგზე იპონენელი პოლიციელის მთრახვი გაიტყალაშენებდა რაიმე „დანაშაულობისათვის“, მშვიდად წამოსწევდა ჭლარით დაფარულ თავს. იმ წუთში მის მუდამ ნალელიან, წვრილ თვალებში ჩადგებოდა იმდენი მწუხარება, რომ კაცს ქვის გული უნდა ჰქონებოდა, არ შებრალებოდა იგი.

ვან-დიუ-ჩენი ღამეს ინკოუს განაპირა უბანში მდებარე ციხის ნანგრევებში ათევდა. ჩაეფლებოდა უთავბოლოდ მიყრილ თივაში და დაიძინებდა.

ზაფხულის ერთ ღამეს ციხის ნანგრევებში ვან-დიუ-ჩენს ჩურჩული მოესმა. ის შიშისა და ცნობისმოყვარეობისაგან გაინაბა. სუნთქვა შესწყვიტა. ჩურჩული კვლავ გრძელდებოდა:

— ჩუუნ-სიან, გესმის, მეგობარო, — ეუბნებოდა ერთი მეორეს, — აი, წითელი დროშა. ზედ სტალინის სურათია ამოქარგული. ეს აქ უნდა დავმალეთ. როცა ხენ-დუ-მიგოს დავალებას შევასრულებთ, აქ დავბრუნდებით, წაივლით ამ დროშას და დილით წითელი პოლკების შემოსვლისას ავღმართავთ ქალაქში. ხარბინი, გირინი, მუკდენი უკვე საბჭოთა

ჯარებმა დაიკავეს. ისინი ინკოუს უახლოვდებიან. სტალინი, კომუნისტები თავისუფლებას მოუტანენ ღარიბ ჩინელებს.

ვან-დიუ-ჩენმა იგრძნო სიხარული, როცა ამ სიბნელეში ყური მოჰკრა ნაცნობ სახელს — სტალინი. მოაგონდა ხენ-დუ-მიგოც. — იგი გაფიცვებს ხელმძღვანელობდა შარშან ნავსადგურზე. მტერთავე მუშა იყო, ხენ-დუ-მიგო.

ჩურჩული მიწყდა. მერე ვან-დიუ-ჩენმა იგრძნო, თუ როგორ გააკრიფა სიბნელეში ორი სილუეტო. მან თვალი გააყილა. ცოტა ხნის შემდეგ ზედიზედ სროლის ხმა გაისმა. ორივე წაბარბაცდა და დაეცა. ვან-დიუ-ჩენმა თვალი მოჰკრა ქუჩის კუთხიდან გამოსულ პოლიციელებს, რომლებიც მალე თვალს მიეფარენ.

ვან-დიუ-ჩენი გამოვიდა ნანგრევიდან და მოკლულებისაკენ გაემართა. გაუნძრვილია იწვნენ ისინი შორიახლო. პოლიციელის ტყვიას ემსხვერპლნა ისინი.

ვან-დიუ-ჩენმა შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. „ასეთი ყოფილა სიკვდილი“ — გაიფიქრა მან. შემდეგ მოაგონდა, რომ მოკლოვლებმა რამდენიმე წუთის წინათ ციხის ნანგრევებში დროშა დამალეს, სწრაფად გაბრუნდა უკან და ბნელში ხელების ფაფურით იწყო მისი ძებნა. მაგრამ ახლა შორეოლმა ყრუ გუგუნმა მიიპყრო მისი ყურადღება. იმავე წუთს მას მოესმა ნაცნობი სიტყვები, ამ ცოტა ხნის წინათ ჩორჩოლით ნათქვამი:

— ჩუუნ-სიან, გესმის, მეგობარო, საბჭოთა ჯარები უახლოვდებიან ინკოუს. სტალინი, კომუნისტები, თავისუფლებას მოუტანენ ღარიბ ჩინელებს.

— მომიგონა, — გაითიქრა ვან-დიუ-ჩენმა და კვლავ განაგრძო ძებნა. გუგუნის უფრო ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა.

— მოდიან,—გაიფიქრა ვან-დიუ-ჩენმა.  
— კომუნისტები მოდიან... ისინი გაანთავი-  
სუფლებენ ისეთს. ვან-დიუ-ჩენი წავა პრა-  
ვისცივაში, გამოიხსნის ბრინჯის ყანაში მომუ-  
შავე თავის ვაჟს. ნახავს ძვირფასი მუდღოსის  
საფლავს, შეშოავლებს რკინის გალავანს და  
დაბრუნდება ზღვისპირა ქალაქში.

კვლავ ეძებდა დროშას ოცნებისა და მოახ-  
ლოებული გუგუნისაგან გაბრუნებული, ეძებ-  
და გაფაციცებით. აბოვნა კიდევ. გარეთ გაი-  
ტანა. მთვარის შუქზე ვამალა, წითელი დრო-  
შა აფრიალდა. სტალინის სურათმა გამოანა-  
თა.

ვან-დიუ-ჩენს ახლა უკვე აღარაფერი ახ-  
სოვდა ვარდა იმისა, რომ წასულიყო ქალა-  
ქის ცენტრში და როგორც ის მოკლული  
მეგობრები ჩურჩულებდნენ, — აღეპართა  
ეს ძვირფასი დროშა. უკვე რიყრაყი იყო,  
როცა ნავსადგურამდე მიადწია. ქვეშეხების  
გუგუნი და სროლის ხმა უკვე ქალაქში ის-

მოდა. აქაიქ სკდებოდნენ ყუბძარები, იაპო-  
ნელები პანიკით გარბოდნენ ინკალუსა.

ვან-დიუ-ჩენი კი გარბოდა წინ წითლების  
შესახვედრად. უცებ იფიქრობდა: „დავინა-  
პონელს წამოვღო ფეხით. წაფარხილდა...“

— მაწინწალავ, გიჯებ, გიჯებ, —  
ველო დაქროლს! — უბრძანა პოლიციელმა.

ვან-დიუ-ჩენმა ზიზღით შეხედა პოლი-  
ციელს, ზურგი შეაქცია მას და თავისი გზა  
გახაგრძო წითლების შესახვედრად. მაშინ  
მოულოდნელად იქექა იაპონელი პოლიციე-  
ლის რევოლვერმა. ვან-დიუ-ჩენი წაბარბაცდა  
და მიწას დაენარცხა.

... შეუდღისას ინკოუს ერთიერთ ქუჩაზე  
საბჭოთა არმიელებმა ნახეს ჭალარა ჩინელის  
ცხედარი, რომელსაც დაძინილი ტანსაცმე-  
ლი ეცვა. მას უბეში აღმოაჩნდა წითელი  
დროშა, რომელზედაც ამოქარგული იყო  
ბელადის პორტრეტი ოქროსფერი წარწერით  
— სტალინი.

## ი რ მ ი ს მ თ ა ზ ე

ბაბრიულ ჯაბუშანური

ამ ზაფხულში ჩვენი რაზმი  
ირმის მთაზე ავიდა;  
რომ იცოდეთ, როგორ დავტკბით  
უცხო სანახავითა!

ნისლის თეთრი ფაფანაკი  
დაეხურა ჭალასა,  
შორს ვიყავით და ბანაკი  
აღარ სჩანდა აღარსად.

ნისლის ფარდას დაემალა  
ჩვენი თეთრი კარავები;  
ჩვენ ვიყავით მაღლა, მაღლა,—  
დაბლა — ნისლის კრავები.

გაღმა გორზე ცხვრების ფარაც  
შეჰფენოდა ნისლსავით,

მერე ისიც მოეფარა,—  
ჩვენ კი მაღლა ვიყავით.

ჩვენი დროშა ქარის ფრთაზე  
ფრიალებდა ლალადა;  
რაზმის ასვლა ირმის მთაზე  
რეზომ იქვე დახატა.

თვითმფრინავმა მძლე გუგუნით  
გადგვიქროლა სიჩქარით,  
მაგრამ, იცით, გრძნობით, გულით—  
მასზე მაღლაც ვიყავით!

ამ ზაფხულში ჩვენი რაზმი  
ირმის მთაზე ავიდა;  
რომ იცოდეთ, როგორ დავტკბით  
კარგი სანახავითა!





# უკანასკნელი როზნაი



მიხეილ კაკაბაძე

მ თ ბ რ ო ბ ა

ნახ. გრ. ჩირინაშვილისა

1.

კანტიუნტად ისმის სროლის ხმა. ღროვა-  
მოშვებით მიძიმე ყუმბარა ეცემა მიწას და  
გუგუნენენ ხევები. ასე მგონია, ბოხი ხმით  
გასძახიან ისინი ერთმანეთს თავიანთ გუ-  
ლისწყრომას.

თოვს...

ფოჭქებთან ერთად ბინდი ეფინება მილა-  
მოს.

გაცქერი არეშარეს და მაგონდება პოე-  
ტის სიტყვები:

„მთები... მთები...“

„ბუმბერაზთა საშინელი მხედრობა“..

დეკემბრის პირველი რიცხვებია. 1942 წე-  
ლი.

კეკეასიონი...

ბრძოლები უღელტეხილებისათვის, ბრძო-  
ლები მწვერვლებისათვის, მიძიმე ბრძოლე-  
ბი.

ჩვენი ნაწილი ორ თვეზე მეტია ამ უსახე-  
ლო მწვერვალსა და მის მიდამოებს იცავს.  
მტრისაგან პატარა მდინარე გვეყოფს.

ზურგიდან ვიდაც მიახლოვდება. მივიხედ-  
ეჩენი ბაქალიონის სახელგანთქული მხვე-  
რავი მიშა სძირნოვი ღინჯი ნაბიჯით მოჰ-  
ყვება ბილიკს. მისი მაღალი სხეული ოდნავ  
მოხრილია, განთერი მხარ-ბეჭი ძლივს ეტევა  
თბილ ქურჭში.

ეშმაკურად მიღიმის და მეუბნება: „ძველ  
ნაცნობებთან მივიდივარ, ამხანაგო ლეიტე-  
ნანტო“.

— გზა მშვიდობისა, — ვეუბნები და მაგ-  
რად ვართმევთ ერთმანეთს ხელს.

მიშა ავტომატსა და ყუმბარებს ისწორებს  
და მშორდება. მიდამო თანდათან მუქდება.  
ერთხანს ვუშვებ მიძვალ ჯარისკაცს. იგი  
ხელ-ნელა იხიჭმება ბინდში, მერე მარც-  
ხნივ უხვევს და მეფარება თვალთავან.

2.

ამ დღეებში მძადრი ბრძოლები ვეჭონდა.  
მტერმა ახალი ძალები მიიღო, ფლავებიდან  
შევაოგებია. ერთდროულად უღელტეხილზე  
მოიტარა იერიში... მაგრამ მოვიგერეთ.

ჩავდივარ მიწურში, სადაც მხვერავები  
ცხოვრობენ. ბუხარში სტვენს, შიშინებს  
სველი ჭუხი. კედელზე კალენდარია გა-  
რული „10 დეკემბერი“.

ბუხართან სერეანტი მაქსიმოვი ზის, მუხ-  
ლებზე პლანშეტი უდევს, მასზე რვეული  
გაუშლია და წერს. დამინახა, სწრაფად წა-  
თოღდა და მოქესალმა:

— მობრძანდით, ამხანაგო ლეიტენანტო,  
ცეცხლთან დაბრძანდით, აი, აქ...

ჩემი თვალი უნებლიეთ რვეულზე შეჩერ-  
და. მერე მაქსიმოვს შევხედე: მის თვალებ-  
ში დალონება ამოვიკითხე. მან შეამჩნია,  
რვეულს რომ მოგვარი თვალი. გაუხარდა:

— დღითურ ეწერ, ამხანაგო ლეიტენანტო.

რვეული მომაწორდა. ვკითხულბო:

„10 დეკემბერი“.

მეხუთე დღეა, რაც მიშა დახვერავში წა-  
ვიდა. დავალბა რთული ჰქონდა... გათენე-  
ბამდე უნდა დაბრუნებულიყო. ნეტავ, რა  
შეეძობება?..“

სტრაიქონებმა დამაფიქრა. თვალწინ წარ-  
მომიდგა ახოვანი ვეჯკაცი — ხაწილის საუ-  
კეთუსო მხვერავი.

ბუხრის ცეცხლი მკრთალად ანათებს მი-  
წურს, კუთხეში, სადაც თივაზე ისვენებდა  
ხოლმე სძირნოვი, თვალი მოგვარი ძელზე  
დამურბებით დაკიდებულ მოკრივის ხელ-  
თათანებს. არ გამკვირვებია ეს ხელთათმა-  
ნები. მოკრივი სძირნოვი საბჭოთა კავშირის  
არაერთხანს ჩემპიონი იყო მიძიმე წონაში.

— თქვენ იცით, ამხანაგო ლეიტენანტო,  
ძმებევით ვიყავით მე და მიშა, — ამბობს მაქ-  
სიმოვი, — ნუთუ რაიმე ხიფათს გადაეყარა..

რატომღაც მგონია, რომ მას ცუდი არასოდეს შეეძინებოდა, ის ხომ დახვეწილი იყო ჩემპიონია, სახარბიის, ღონიერი, მამაცი... — და მიამბო ცოტა რამ სმირნოვის წარსულიდან.

ამ ათოდე წლის წინათ, სმირნოვი გერმანელ მოკრივეებს შეხვედრია, მათი ჩრეული ფალაგები დაუძრავია. მაშინ გაუცვნიათ მიშა არიელ სპორტსმენებს და თურმე ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რევანში აეღოთ მისგან.

ეს ახალი ამბავი იყო ჩემთვის. მომავლნად და ახლა კი გავიგე სმირნოვის სიტყვების მნიშვნელობა, დახვეწილი წასლის დროს რომ მითხრა: — ძველ ნაწილებთან მივლინე, ამხანაგო ლეიტენანტო.

რატაც არასასიამოვნო გრძნობა მიპყრობდა — სმირნოვის დაგვიანება არ იყო კარგი ნიშანი. ალბად ამასვე გრძნობდა მაქსიმოვიც, მაგრამ ჩვენს შინს ერთმანეთს ვერ უხიარებდით.

### 3.

— არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა სანახაობა იქნება: რისგზე არიან გერმანიის ჩემპიონი და რუსეთის ჩემპიონი. ეს ერთგვარი სიმბოლური შეჯახებაა, თუ მკითხავთ! — ამბობს გერმანელი პოლკოვნიკი, იგი ხითხითებს და მისი მსუქანი სხეული საგარემოში თრთის. მერე უცრად სახე ეცვლება და მარცვლავ: — როგორც გადმოიტყეს, თქვენ ერთ დროს არივლი მოკრივეები და დამარცხებიათ, მაგრამ ეს იყო ერთ დროს... ახლა კი, ექვი არ შეპარება, — გამარჯვება გამარჯვებული ქვეყნის წარმომადგენლისა იქნება. ამას მოითხოვს გერმანიის სპორტის პრესტიჟი.

სმირნოვი პოლკოვნიკის პირდაპირ ზის. წარბშეკრული უყურებს, მაგრამ ეტყობა: არ უსმენს.

იგი, აი, უკვე მერამდენჯერმე ალაღვენს გონებაში თავის თავგადასავალს.

მიძივე დაიჭრა. მხოლოდ თოხი დღის შემდეგ მოვიდა გონზე. ბევრი სისხლი დაჰკარგა. ტყვეების ბანაკში იგი იცნეს. გერმანიის სარდლობამ გადასწყვიტა მისი გამოჯანსაღება, რათა შემდეგ იგი არიელ მოკრივეს, გერმანიის ჩემპიონს მაქს რიხტერს შეხვედროდა. ჰოსპიტალში გადაიყვანეს. თვითონაც უყვირდა, რატომ ექიმობდნენ ასეთი მონღოებით. „მოკრივები, გავიქციეთ“, — ამ ფიქრებში იყო ჩაძირული სმირნოვი. პოლკოვნიკი არ სცხრება:

— ამბობენ რუსეთის სპორტსმენები კულტურულნი არიანო. ვითხრათ სიმართლე, შე მაინცდამაინც არ მჯერა ეს ამბავი. შეიძლება... არ გეკამათებოთ...

მიშა სლუმს. პოლკოვნიკი განაგრძობს:

— თქვენ შეგიძლიათ გაფხტოთ ჩემი ეს შეხვედრება. განაცხადეთ თანხმობა — შეხვედრის რიხტერს. ხომ გრძნობთ, რამდენად უღელსად ჩავთვალეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახარბიელაზე თქვენს განმარტებაზე ვიკრივდება, ისინი ბლომად გვაქვს. და წარმოიდგინეთ თქვენი სხეული დაკიდებული თოვზე, კისერში გვიკრთ ყულფი... იმანებებით, შევლას ითხოვთ, მაგრამ გვიანა... არა, წარმოიდგინეთ ჩემპიონი თოვზე დაკიდებული. ეს ხომ დამამცირებელია — ხარხარებს პოლკოვნიკი.

დაიქანცა, საშინლად დაიქანცა სმირნოვი. მარცხნა მხარი ისევე სტივა. ძლივს იყავებს თავს. პოლკოვნიკი კვლავ განაგრძობს:

— ყველაფერს რომ თავი დაანებოთ, ხომ იცით, თქვენმა ცოლმა პატარა ბავშვით ვერ მოასწრო ევაკუაცია. ვადარჩენენ. ვერაჯეროთ ცოცხლები არიან და იმავე ქალაქში ცხოვრობენ. შეხვდით რიხტერს და... სიტყვას გაძლევთ, გაჩვენით ცოლი და ბავშვი.

მიშას გული შეუტოვდა. შეკითხვის მიცემა უნდოდა პოლკოვნიკისათვის, მაგრამ თავი შეიკავა.

„დრო იხელეთ, ჯალათებო?! ზემობით დროებით გამარჯვებამს?! არ უფერჩებთ! შევხვდები, კვლავ შევხვდები... გული მოვიოხო, კვლავ ვაჩვენებ ძალას მტერს“... — მიიღო გადაწყვეტილება მოკრივემ და წაშლდა.

— მე თანახმა ვარ შევხვედრე რიხტერს. მომეცით შესაძლებლობა რამდენიმე ვარჯიში ჩავატარო.

### 5.

ხელთაიანებს რომ აცმევენდნენ სმირნოვს, მიწურში ძელზე დაკიდებული თავისი ხელ-



თაბანები გაახსენდა: ბოლშა შემოაწვა გულზე.

დარბაზში თამბაქოს ბოლი იდგა.

თავის კუთხისაკენ წავიდა, თოკებს დაეყრდნო და ჩვეული მოძრაობით კაიფოლზე გააცურა ფეხები. მარცხენა ხელი სტეიოდა. სარჯვენა ფერღმი ახალმეხორცებულ კრილოდა უხურდა. ნებისყოფა დაძაბა და ტკვილზე ფიჭვი შეწყვიტა. თავი მხოლოდ ძაძის ასწია ზევით, როდესაც დარბაზში ტაშისცემა გაისმა. რინგზე რისტერი გამოვიდა: მალაღი, კუნთებმაგარი, ამაყად გადმოხედა მოწინააღმდეგეს, მერე ოდნავ ძესამჩნევი ნაძალადევი ღიმილით მიბრუნდა დარბაზისაკენ.

სმირნოვმა დარბაზის სიღრმეში გაიხედა. ტევა არ იყო, წინა რიგები დიდ ჩინოსნებს ეჭირათ. მათ შორიახლო იდგნენ თითქოს სანთლისაგან ჩამოხსმული ადიუტანტები. დროგამომწეებით დარბაზში ხარხარი ატყდებოდა.


ძიშა კარგად გრძნობდა: ამ უზარმაზარ, ხალხით გაქვილილ დარბაზში ერთი მომხრეც არა მყავდა. „რამდენი ბორბტება, რამდენი დაცეხვა მათ თვალზეში“, გაიფიქრა და თავის მშობლოდ რინგზე გამოსვლები მოავიხსნა. „პირველ რიგში, მწვრთნელის გვერდით, ნატამა იჯდა ხოლმე, მისი ცოლი, ადრევებული. როგორ ზანზარებდა ხოლმე დარბაზი, როდესაც მე გამოვდიოდი. რამდენი მომხრე, რამდენი გულშემატკივარი... რამდენი იმედიანი, კეთილად შემეყურე თვალი... რამდენი სიყვარულითა და აღტაცებით მომართული მხერა“...

რისტერმა თავიდანვე მიიტანა სმირნოვზე იერიში, მაგრამ სმირნოვი თავისუფლად ინაცვლებდა რინგზე და შუა ბრძოლაში მოწინააღმდეგის ძლიერს, პირდაპირ გარტყმას მკერდში, მოხუნეილი სინგით უპასუხა.

უეცრად რისტერმა საშინელი ძალით დაჯახა ხელთათმანი მარჯვენა ფერღმი. მიშამ ყრუდ დაიგინა. თვალში ბინი ჩაუდგა, ჩაიჩოტა. კვლავ იმ ადგილას იგრძნო გარტყმა... აეთო ნაჭრილობები, ძლიერს გაიმართა...

„აი, გასწავლეს ექიმებმა ჩემი კრილობის ადგილი?! ამით გინდა გამარჯვების მოპოვება, არიელო?!“ გაიფიქრა სმირნოვმა. მისი ფიჭვები მქუხარე ტაშმა ჩააღწო. დარბაზი რისტერს ოვაციას უმართავდა.

გერმანელს სულის ერთი შეხვრით უნდოდა დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, მაგრამ სმირნოვმა ზედაშიაური ნებისყოფით თავს ძალა დაატანა და რაუნდის ბოლოს ქვევიდან მუშტი მოხსლებით ამოჰყრა გერმანელს ყბაში.



რისტერი შეტორტმანდა. დაჰყრა გონგმა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მოკრივეები ისვენებდნენ.

მეორე რაუნდში რისტერი გააქტიურდა. მიშა იძულებული იყო საშვერ ყრუ თავდაცვაში წასულიყო. დარბაზი გუგუნებდა.

„ჰა, რა მოგდის, მიშა... დაილაღე?!“ თითქოს ჩაესმა მას ყურში, და მოეჩვენა, რომ ეს მწვრთნელი იყო, მისი მწვრთნელი და გაახსენდა მისი სიტყვები: „საჭიროა მოქმედება, შეტევა“.

„მაგრამ ცოლი, შვილი? თავი შეიკავე. ხომ იცი, რა ელის პატარას?! სახრობელა შეილს... ცოლს... შენ“... ჩაეწვეთა სმირნოვს ყურში ახლა მეორე ხმა და წონასწორობა დაჰკარგა. ხელი უნებლიეთ დაუშვა. წამსვე მოწინააღმდეგის ხელთათმანი მოხედა მაგრად და ჩაიკეცა. გონგის ხმაც გაისმა.

სმირნოვი წამოაღდა და თავჩალუნული გაეშურა თავისი კუთხისაკენ.

სმირნოვი მძიმედ სუნთქავდა. ხელები მოხრებულად დაეწყო თოკზე. ერთი შეხედვით ისვენებდა. მაგრამ არა, რა დროს დასამუნებდა... „ახლა, მთელი რაუნდის განმავლობაში თავდაცვაზე ვიქნები, ვიმანევრირებ. მივლებ მის გარტყმებს. თავბრუ დაესხება გერმანელს მიღწევებისაგან, ბევრ ენერჯის დახარჯავს. უკანასკნელ რაუნდში კი უნდა წამოვიკილო“...—მტკიცედ დაასკვნა მან.

„მაგრამ ცოლი, შვილი... ხომ იცი, რა მოგელოთ?!“—ისევ ჩაესმა ყურში იღვშალი ხმა.

„რა ექნა, რა ექნა?“—უნდოდა ეყვინა სმირნოვს, უნდოდა გამკითხავი ვინმე ჰყოლოდა ახლოს, მაგრამ სად-ღა იყო...

მოპირდაპირე კუთხიდან რიხტერი გამოემართა მისკენ.

რიხტერი შეეცადა ახლო მანძილიდან ბრძოლას. სმირნოვმა იგი მიუშვა. სეტყვა-სავით დააყარა რიხტერმა მუშტები მარცხენა ფერდისა და გულის არეში. კრილობიან ფერდს შიშა იფარავდა. თან შეამჩნია, რომ ახლო მანძილიდან ბრძოლისას გერმანელს თითქმის დაუტყველი რჩებოდა სახე. „ეს მშვენიერი აღმოჩენაა“, — გაიფიქრა სმირნოვმა. გონგმა რომ დაჰკრა, რუსმა მოკრივემ პირდაპირ შეხედა გერმანელს. რიხტერი აჩქარებით სუნთქავდა, ერთი-ორჯერ პირიც კი გააღო, ნაპირზე ამოვლედულ თევზივით ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. მთვრალივით გაემართა რინგის კუთხისაკენ და მოსხლეტით დაეშვა სკამზე.

ღარბაზი ღრიალებდა. შეოთხე რაუნდი ისევ რიხტერის შეტევით დაიწყო.

„გეყოფა, გერმანელო ჩემპიონო, მოვიდა შენი აღსასრული“,—მიიღო გადაწყვეტილე-

ბა მიშამ და მარჯვნივ გაეცალა გერმანელს. მრისხანედ ახელა მოწინააღმდეგეს და სწრაფად აიქნია გვერდიდან მარცხენა ხელი. რიხტერს სახე დაუფარა რუსის ხელითათმანებმა და შეაბარბაცა მისასწავლი ნაკრილობები ხელი.

რიხტერი ახლა მხეცივით ეკვეთა შინას, ისევ მიუშვა იგი სმირნოვმა. უეცრად მოზომა მანძილი და შოლტივით გაქნეული მარჯვენა ყბაში დააჯახა მტერს. გერმანელი უკან გადაქანდა, მერე როგორღაც შემოტრიალდა და თოკებზე გადაეკიდა, იქიდან ნელა ჩამოტურდა და იატაკზე დაეშხო.

სმირნოვს თვალეტი აეცსო ცრემლით: რისი იყო ეს ცრემლი? სისხარულისა, რომ მტერი დაამარცხა, თუ მწუხარებისა, რომ ცოლშვილიანად განწირული იყო. ღარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. მსაჯი დაიბნა.

მიშამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ღარბაზს გასძახა:

— გამარჯვება გამარჯვებული ქვეყნის წარმომადგენლისაა.



## მ ტ კ ვ ა რ ი

### მისილ ზანუკაშვილი

მოდულუნებს უშფოთველად,  
მზეზე შუქით ისარკება  
და თბილისის შუა გულში  
გაწოლილა ცისარტყელად.  
მოდულუნებს, მოიხარის  
და თბილისის კართან კრთება,  
მის სახეზე უეცარი  
გაკვირვება იხატება.  
თითქოს იგი გვეუბნება:  
— მე მაოცებს მხოლოდ ერთი,  
უცნაურმა მღელვარებამ—  
ამითრთოლა ბროლის მკერდი,  
იციო, დიდად ამ ამბავმა  
გამაკვირვა გამაოცა...

მე აკვანში არ ვწოლილვარ  
ქვეყანაზე გავჩნდი როცა;  
მაგრამ ეს-კი გამიგია,  
რომ გაჩნდება ხოლმე ბავშვი,  
ჯერ აკვანში ჩააწვენენ,  
გალუჭერენ არტახს მაშინ,  
და აკვანში, ხის აკვანში,  
ამყოფებენ თოთოს, ვიდრე—  
მომაგრდება ჯანით, ღონით  
და ძალ-ღონეს დაიმკვიდრებს...  
მაგრამ მე-კი, ხედავთ,—ამბობს  
და შეარხვეს წამწამს მძიმედ,—  
დღეს ქალარა, აქ, თბილისში,  
ქვის აკვანში ჩამაწვინეს!



ეს ამბავი 88 წლის წინათ მოხდა, სწორედ მაშინ, როდესაც მამულის სიყვარულით აღზნებული მგოსანი ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა...

ლივლივებდა დილის ნაშთ პირდაბანილი ქვეყანა. თვალს იტაცებდა ცადაზიოლი მყინვარის ჯადოსნური სანახაობა, ლამაზად შემკული მთები და ველები.

დიდებულ მგოსანს უცნაურად ესაღებუნა საქართველოს ლაღი ბუნების სურნელი, ამომავალი მზის სხივებით აფერადებული არაგვის სანაპიროები.

აქ ლბილ მდელიოზე შესივინა ილიამ, წყაროს წყალს დაეწავა ხარბად, ბულაჩაურის შვირდზე რომ მოჩხრაილებდა. ეამა. მეშვით ისხურა სახეზე და გზა დაულოცა ნაკადულს საქართველოს გულისაიენ.

ამ სუფთა და ანკარა წყარომ, ვერცხლისფერი არაგვის დაიდევარმა ტალღებმა და ოცნებასაიეთ აყვავებულმა მიდამოებმა ათქმევინა სამშობლოს სიყვარულით ანთებული პოეტის მგზნებარე გულს ეს ფიქრიანი სტრაქონები:

„აყვავებულა მდელიო, აყაიებულა მთები, მამულო, საყვარელი, შენ როსლა

აყვადები?“

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ! როგორ გამოიკვალა ეს მიდამოებიც! ჰყვავიან



არა მარტო მთები და მდელიონი, — მთელი სამშობლო, მთელი ჩვენი ხალხი ჰყვავის და ლაღობს ბედნიერებით.

— აი არაგვის ნაპირები, საიდანაც მველად თელუხით წყალი დაჰქონდათ თბილისში. ეს ჭავჭავაძის სიფელია, ლოვწითელი ვაშლისა და ატმის ბაღში რომ იმზირება. ეს კიდევ ბულაჩაურია, ანკარა წყაროების სათავე, ილია რომ დაეწავა რუსეთიდან საქართველოში გზადმომავალი... — აჩვენებდა, უხსნიდა ინჟინერი თბილისელ პიონერებს, საზაფხულო არდადეგებისას ბულაჩაურის დასათვალიერებლად რომ ჩავიდნენ.

1945 წლიდან აქ დიდი მუშაობაა განაღებული, შენდება ბულაჩაურის წყალსადენი. იგი უზრუნველყოფს თბილისსა და ახალ მეტალურგიულ ქალაქს — რუსთავს ანკარა წყაროს წყლით.

წყალსადენის სამუშაოებში მონაწილეობას ლებულოდენ ახალგაზრდები, აწყობენ კვირაობებს და თავიანთი წვლილი შეაქვთ მეოთხე სტალინური ხუთწლიდის ამ დიდი მშენებლობის სწრაფად დამთავრების საქმეში...

წყალი მთავარია ადამიანის არსებობისათვის: სასმელად, ჰიგიენის დასაცავად და ათასგვარი სხვა საქიროებისათვის. ამიტომ იქცევა დიდი ყურადღება წყალსადენის მშენებლობას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აღსრულდა თბილისელთა დიდი ხნის ოცნება — ნატახტარის წყალსაიენით უხვად მიიღეს საუცხოო წყაროს წყალი. მაგრამ თბილისის გაზრდილ მოთხოვნილებას, მის ახალ სამეურნეო რაიონებს ნატახტარის წყალი უკვე ველარ აკმაყოფილებს. ამიტომ დაისვა საკითხი ბულაჩაურის საუკეთესო წყლით დედაქალაქის მომარაგების შესახებ.

1946 წელს მდინარე არაგვე საექსპლოატაციოდ გაიხსნა ხიდი. ამ ახალი ხიდიით სოფლები თიანეთი, კობორტი და ბულაჩაური მარჯვე და მოკლე გზით დაუკავშირდ-

ნენ თბილისს. ეს იყო მშენებელთა პირველი წარმატება.

ბულაჩაურის წყალსადენით დედაქალაქი ნაძალადევისა და საბურთალოს მხრიდან მიიღებს წყალს. ზავესის ქვემოთ წყალსადენი ორად გაიყოფა და თბილისში წყალი შემოვა მაგისტრალური ლითონის მილებით. ისინი დაიგება მტკვრის ორივე ნაპირზე.

... გავა რამდენიმე ხანი. დადგება გაზაფხული. ცხრაათვალა მზის სხივები დაეფრქვევა ათასფერად ვარდებს, გაზონებსა და ნატვრისთვალებს.

ცადაჭრილი შადრევნები დაესხურება აყვავებულ თბილისს, ონკანებიდან იფეთქებს ახარა წყალი.

ეს წყალი ბულაჩაურის წყაროებიდან მოვა!

... ამოსათვის თავადებოთ ბრძანა ბულაჩაურელი მშენებლები.

ბავშვები ყურს უგებენ ნაძალადევის საუბარს, ნათლად წარმოუდგებოდან მომავალი ახალი წყალსადენი. მათ მთელი დღე დაჰყევს მშენებლობაზე, კარგადაც გაერთიენ და დაისვენეს.

...სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე წითელყელსახვევიანმა გოგონებმა და ვაჟებმა საღამოხანს დასტოვეს ბულაჩაური. მანქანა მოაქროლებდა მათ საქართველოს გულისაკენ — შობილოური თბილისისაკენ.

ვაჟა აბაშიძე



### ბაყაყების თავდასხმა ინგლისის ქალაქზე

ამას წინათ „მრავალი ათასი ბაყაყის არმიამ“ აავსო პატარა ქალაქ კოლვილის გარეუბანი და ლამობდა მის დაპყრობას (კოლვილი მდებარეობს 22 კილომეტრზე ინგლისის ერთ-ერთ ცენტრალური საგრაფოს ლესტერშირის მთავარ ქალაქის ლესტრის ჩრდილო-დასავლეთით). ქალაქ კოლვილის მცხოვრებთა ცდებმა გაეღვენათ ბაყაყები, აგრეთვე გაეფლიტათ ისინი ქალაქის გარეუბნის ქაობებში, უშედეგოდ ჩაიარა. ბაყაყები განაგრ-

ძობდნენ ქალაქზე შეტევას. ქალაქი შიშმა შეიპყრო. „ქალაქის მამებმა“, რომლებიც ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში შეიკრიბნენ იმ მიზნით, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინათ ბაყაყები, შიიღეს გადაწყვეტილება ქაობების ამოსაშრობად, ჩაატარონ საინჟინერო სამუშაოები, რაც სულ მცირე ორი ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდება.





# გამარჯვებულნი



არ არის სპორტისა თუ სასცენო ხელოვნების ისეთი დარგი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებსა და მსახიობებს მსოფლიო პირველობა არა ჰქონდეთ. ჯერ არ ჩატარებულა ისეთი საერთაშორისო კონკურსი, შეხვედრა, მატჩი, რომ საბჭოთა კავშირის წარუხადნილთ პირველობა არ აეღოთ. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენი სოციალისტური სამშობლო დიდად უწყობს ხელს სპორტის აღმავლობას, ხელოვნების განვითარებას, მათს გამაძობრივებას და ხალხის საკუთრებად გადაქცევას.

უხგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მთელი ორი კვირა მიმდინარეობდა და 28 აგვისტოს დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საერთაშორისო ფესტივალი. აქაც სტუდენტთა საზაფხულო თამაშობებში და კონკურსში ტრიუმფალურ გამარჯვებებს მიაღწიეს საბჭოთა ახალგაზრდებმა — დიკავებს პირველი ადგილები. საბჭოთა სპორტსმენებმა გარდა მრავალი თასისა, მოიპოვეს 114 ოქროს, 42 ვერცხლისა და 30 ბრინჯაოს მედლები.

მუსიკოსების, მომღერლებისა და მოცეკვავეთა კონკურსში ყველა პირველი ადგილი დაიკავეს ჩვენი სამშობლოს სიერ წარუხადნილმა ახალგაზრდა სცენის ოსტატებმა. ეს გამარჯვება უფრო სასიხარულო და ნამდვილად ტრიუმფალური იყო. რადგან ამ კონკურსებზე და სპორტულ შეხვედრა-შეჯიბრებებში მონაწილეობას აღებდნენ მსოფლიოს ოთხმოცამდე ქვეყნის წარმომადგენლები.

ყოველი სპორტული შეჯიბრების შემდეგ, როგორც წესი, საპატიო პიედესტალზე უნდა ასულა იყო გამარჯვებული. მატჩზე აღმართებოდა წითელი ალამი და ორკესტრი ასრულებდა გამარჯვებულის გამოუხადნი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნს. ასე, რომ საპატიო პიედესტალზე მუდამ იყო საბჭოთა სპორტსმენი, მუდამ აღმართული იყო წითელი ალამი — სიმბოლო ჩვენი გამარჯვებისა, კვლავ და კვლავ გაისმოდა ჩვენი სახელმწიფო ჰიმნი.

ასე დიკავს ღიდასამშობლოს სპორტული ღირსება ჩვენმა ახალგაზრდებმა.

მაინც ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც მსოფლიოს ოთხმოცი ქვეყნის წარუხადნილ ახალგაზრდებს შორის ასე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს? — უბრალო, ჩვეულებრივი,

რიგითი საბჭოთა ახალგაზრდები, რომელთაც მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო და რომლებიც ამ სამშობლოს ღირსებასა და დიდებას იცავენ ყოველთვის: ბროლაში, შრომაში, სწავლაში, კონკურსებზე, შეჯიბრებებზე, ფესტივალებზე...

ძალოსნობის ათ სახეში გაიმარჯვა პეტრე დენისენკომ. ორი მედალი — ოქროსა და ვერცხლისა — მოიპოვა ალექსანდრა ჩუდინამ. იგი სიმალეზე ხტომის ოსტატიცაა და მორბენალიც, კალათბურთელიც და შუბის მტყორცნელიც.

ან კიდევ, ვინ არის ვერა ფირსოვა, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა მომღერალთა კონკურსზე? — გლეხის შვილი. იგი თორმეტი წლისა იყო დედამა რომ გარდაეცვალა. თბობაში იზრდებოდა. დაამთავრა საბიბლიოთეკო ტექნიკუმი და მუსიკალური სკოლა. სწორედ აქ, მუსიკალურ სკოლაში გამო-



სურათზე: საბჭოთა მოკრივეები (მარცხნიდან) ა. შოციახი (კუნასი), გ. სტებანოვი (მოსკოვი), ა. სურკოვი (მოსკოვი), ვ. კოვანი (მინსკი), ს. მუღლინი (მოსკოვი), ე. არისტაკიანი (ერევანი), ვ. ხანუკაშვილი (თბილისი) და ა. ბულაკოვი (მოსკოვი).

ელავნდა მისი დიდი ბუნებრივი ნიჭი მომღერლისა. უფროსების რჩევით, საკუთარი ბეჯითობითა და მონღომებით, მთავრობის ხელშეწყობით მან შეძლო შესულიყო მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში, — დაემთავრებინა იგი. ვერა ფირსოვა ამჟამად სსრ კავშირის სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრის მომღერალია.

საბჭოთა სპორტსმენებისა და არტისტების გამარჯვებას დიდი სიხარულით შეხვდნენ თვით ფესტივალის მონაწილეებიც. ისინი, ვინც საბჭოთა კავშირს შესცქერიან იმედის თვლით, როგორც მშვიდობიანობის ბურჯს მთელს მსოფლიოში. მშვიდობისმოყვარე ქვეყნები და მათი ხალხები საბჭოთა კავშირი-

საგან სწავლობენ, თუ როგორ უნდა შეინარსონ თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება. ის ქვეყნები, მისი ახალგაზრდობა ბევრ რამეს ისწავლიან ჩვენი მოწინავე ხელოვნებიდანაც.

საბჭოთა კავშირი და გამარჯვება ეს ერთი განუყოფელი მცნებაა. გამარჯვება მუდამ საბჭოთა კავშირის მხარეზეა, რადგან იგი მთელი რია, რადგან მას მეთაურობს ბრძენი სტალინი. მშვიდობის საქმეს ჰყავს ისეთი უძლეველი მოძებრე და ბურჯი, როგორიცაა ჩვენი დიდი სამშობლო.

ფესტივალის შემდეგ ბუდაპეშტში მოეწყო დიდი დემონსტრაცია, რომელიც მშვიდობიანობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ჩატარდა.

ქ. ლოლაძე

## შ რ ო მ ი ს გ მ ი რ ე ბ თ ა ნ

### კალე ბოზონიძე

ღროშა გარდამავალი  
მზეში ნაციმციმარი  
შრომით აღაფრთოვანებს  
აფხაზეთის ამ მხარეს;  
არის მხნე და მცინარი,  
გამრჯე, არა მძინარი,—  
მეთაური ამ სოფელს  
აღადებს და ახარებს.  
როცა კარგი დარია,—  
გმირ მშრომელის დარია,  
მაშინაც, როს ქარია,  
როს მთა ყინვით კაშკაშებს,—  
გმირი შრომის ველისკენ  
მიდის, მიუხარია,  
გადასძახებს ბრივადებს,  
გამხნევენებს ვაჟკაცებს.

გმირნო იჩენთ გმირობას,  
ბელადს აძლევეთ პირობას,  
შრომის ნაყოფს ამრავლებთ,  
ზრდით მოსავალს ასადა,  
დაილოცოს ამ სოფლის  
შრომა, ხელგაშლილობა,  
კვლავ დოვლათით აივსეთ  
შარშანდელის მსგავსადა!..  
სოფლის გმირულ ნაბიჯებს  
ითვლის გმირი ქართველი,  
გაიღვიძებს ბაღნარი,  
ტყე და ველი გაშლილი;  
სახნავენს და ნარიჩვენს  
წვდება ზეცის ნათელი,  
გამარჯვებას ულოცავს  
სოფელს უზარაშვილი...



# „ქუჩის“ ფურცლები

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ზაპარია შარაზალიძის

თქვენ, „დედაენის“ თეთრო ფურცლებო,  
მე უკვდავება თქვენი მსმენია,—  
დაიბადებით, ქორფა ბავშვები  
ბელურებივით დაგესევანი;

დაგესევანი, იქურტულებენ,  
დაპურდებიან თქვენი შარბათით,  
დაიზრდებიან, დასრულდებიან,  
მოემატებათ შნო და ლაზათი...

თქვენ-კი ყმაწვილის ოცნებისათვის  
სილალისა და შუქის მიმცემნი,  
კეთილი ღვაწლით დაიქანცებით,  
ბერიკაცივით გაიცრიცებით;

გაიცრიცებით!—სამაგიეროდ  
აგისრულდებათ გულის ნადები;  
ბოლოს წახვალთ და—მარად უკვდავი—  
ქვეყნად მეორედ დაიბადებით.



## მ ზ ი ს ჩ ი ტ ი

მ

შის ჩიტი ანუ პოლარული მერცხალი ეკუთვნის თოლიების ჯგუფს. შის ჩიტის სახელი იმიტომ დაერქვა, რომ მას ძლიერ ეჯავრება და მე და ცდილობს გაექცეს მას. ამას კიდეც აღწევს იგი.

შის ჩიტი, გრძელი და ვიწრო ფრთებით, სულ 100 გრამს იწონის. ეს ჩიტები სახლდებიან და ბუდეებს იკეთებენ ზღვისპირა რაიონებში, ზოგჯერ ტბის სანაპიროზედაც. ჩრდილოეთში მოფრინდებიან მაშინ, როცა იქ ზაფხული იწყება. იშენებენ ბუდეებს, სჩეკენ და ფრენას ასწავლიან თავიანთ ბარტყებს. როდესაც კი მზე დაიწყებს სამხრეთისაკენ გადახრას და ამოეფარება პორიზონტს, შის ჩიტებს ბუდობა დამთავრებული აქვთ. ბარ-

ტყები დაზრდილიან არიან და აღარ ჩამორჩებიან თავიანთ მშობლებს ფრენაში. სწორედ ამ დროს იწყება მათი გაფრენა სამხრეთისაკენ, მაგრამ არა ცხელი სამხრეთისაკენ, — ისინი ფარავენ მანძილს მთელს სივანეზე პოლუსიდან პოლუსამდე და ანტარქტიდის მობინადრენი ხდებიან, რადგან, როდესაც ჩრდილოეთში ზამთარი და პოლარული დამეება, ანტარქტიდამი ზაფხული და განუწყვეტელი ღვებია.

ამგვარად შის ჩიტებს ყოველწლიურად უხდებათ 20.000 კილომეტრზე მეტი მანძილის გადალახვა, რათა იცხოვრონ მუდმივ დღესა და მზის ქვეშ.

3. სურგულაქი

# ქართული ცხვარი

იზრდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ღარი — მეცხოველეობა. ახალ აღმავლობას აღწევს, კერძოდ, მეცხვარეობა, რომელიც იძლევა შთავალნაირ პოლიუქციას: მატყლს, რაც აუცილებელი ძვირფასი მასალა შალეულის დამზადებისათვის, ტყაბუქს, ხორცს, ქონს, რძეს. ცხვარი სწრაფად მრავლდება. მისი მკეობა დაახლოებით 5 თვეს ანუ 145-155 დღეს გრძელდება და საშუალოდ ორ წელიწადში სამჯერ იგებს ბატყანს. ხშირად ოცის ტყუპიანობა. ხოგი ჯიშის ცხვარი ხანდახან 3-4 ბატყანსაც გვაძლევს.

ცხვარი მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში გარეულ მდგომარეობაშიც კი გვხვდება, თუმცა მისი მომენების ისტორია ათასობით წელს ითვლის. ცხვრის ჯიში ბევრია. მაგალითად, მერინოსი, რომელიც იძლევა მხოლოდ თივითის ნაზ და ერთგვაროვან მატყლს. ფართოდ გაიქვევს სახელი ახალმა კავკასიურმა მერინოსმა, რამბულიემ და სხვა ჯიშებმაც. საბჭოთა მეცნიერმა აკადე-



მიკოსმა ივანოვმა გამოიყვანა ცხვრის ახალი ჯიში — ასკანიის რამბული, რომელიც გრძელ იზრდება, დიდი ტანისაა, ბევრ ხორცს, გრძელ და წმინდა მატყლს იძლევა. რამბულიედანაა გამოყვანილი ასეთივე აღრეული და კარგი მეზოცეული უმანდი მატყლის უხვად მომცემი, ჩვენი ქვეყნის ჰავის კარგი ამტანი და დიდი ნაყოფიერების უნარიანი ჯიში — პრეკოსი.

მოწინავე ქართველი მეცნიერი მუშაკის მეცხოველეობის სპეციალისტის არჩილ ნატროშვილის შიერ გამოყვანილია ახალი ქართული ჯიშის ცხვარი.

ა. ნატროშვილმა მიზნად დაისახა გამოყვანა ისეთი ახალი ქართული ჯიში, რომელსაც ექნებოდა ჩვენი მშობლიური, მკვიდრი ჯიშის — თუშური ცხვრის ყველა დადებითი თვისება და დამატებით ყოველივე ის, რაც საერთოდ ქებულ ჯიშებს ახასიათებთ.

ათეული წლების მანძილზე ბევრითი შრომით საბჭოთა მეცნიერის ს. ნატროშვილის მიერ საქართველოს მეცხოველეობის საკვლევი ინსტიტუტის უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობაში გამოყვანილ „ახალ ქართულ ცხვარს“ აქვს სამეურნეო თვალსაზრისით ძალიან ძვირფასი თვისებები — მაღალხარისხოვანი, ნახევრად ნაზი და წმინდა ერთგვაროვანი მატყლი, ამასთან 30-40 პროცენტით მეტად, ვიდრე თუშურ ცხვარს, იძლევა მეტ რძესა და ხორცს. ახალი ქართული ცხვარი საუკეთესოდ უგუება საქართველოს მომთაბარე პირობებს, წონით თუშურზე 10-20 პროცენტით მეტია, ამასთან მასში მთლიანად შენარჩუნებულია თუშური ცხვრის ხორცისა და ქონის თვისებები.

არჩილ ნატროშვილს ცხვრის ამ ახალი საუკეთესო ჯიშის გამოყვანისათვის სტალინური პრემია მიენიჭა.

ავრ. ბ. თოდრაძე





# მეფე ერეკლე და ზემოხნიჭონელი დედაბერი

ლავით ქასრაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნაზ. გრ. ჩიჩინაშვილისა

ერთხელ მეფე ერეკლე ლიახვის ხეობას ესტუმრა და თამარაშენში ზაალ მანაბელთან დაბინავდა.

მასპინძელს უნდოდა ნაღმის გამართვა, მაგრამ მეფემ არ უყაბულა:

— თქვენი ამბავი რომ ვიცი, ჩემი გულისთვის ქვეყანას დააწოკებთ... საჭირო არ არის... უბრალოება სჯობიან... — და ბოლოს დასძინა: — ყველი და პური — კეთილი გულით!

მცირე საუზმის შემდეგ ერეკლემ მეფის ყველა ნიშნები აიყარა, უბრალოდ გადაიცვა და ქართლის სოფლებს ჩამოუარა, რომ ახლო გასცნობოდა, ვინ როგორ სცხოვრობდა, ვინ რაზე სჩიოდა.

აგერ დაშორდნენ ცხინვალს. მეფე ერთი გორაკით დაინტერესდა.

მასპინძელმა მოახსენა:

— ეს ნაცარგორაა... ბევრი რამ თქმულე-ბაა შემონახული. მე მგონია, ამ ადგილს წარმართთა საპლოცველო უნდა ყოფილიყო ძველად.

მეფემ ნაცარგორიდან თვალი გადაავლო და დასტკბა ქართლის ოქროთი დაფენილ მინდვრების ხილვით. გაიოცა მეფემ, რომ ამდენ მინდვრებში მხოლოდ ერთი დედაბერი იდგა და ფოცხით გამალებით ფოცხავდა ნამკაღს, ხან ილიაში იღებდა და აბულულებდა.

მეფე დედაბერთან მივიდა, მიესალმა და შეეკითხა:

— მართოდ მართო რატომ მუშაობ, დედი?

— ბარემ მართო არ ვიყავი, მთელი სოფელი მუხზარებოდა, მაგრამ ხმა დაირხა, მეფე ერეკლე თამარაშენში მობრძანდაო; იხუფლეს და მის სანახავად გაჰქუსლეს, — მიუგო დედაბერმა ისე, რომ ზედ არც კი შეუხედნია, — კვლავ მუშაობას განაგრძობდა.

მეფემ ახლა შეამჩნია ოლეს ქვეშ მიყრილი ცელები, ნამგლები, ორთითები, ფოცხები.

— მერე რატომ შენ კი არ გაჰყე, დედი, ნუთუ შენ კი არ ვიყვარს თქვენი მეფე?

— იპ, შე გასახარელო, — მიუგო დედაბერმა, — მეფე ერეკლე ვის არ უყვარს, თავს შემოგვევლე, მაგრამ გაჰირვება... მართხებოდა... ჩემი ქმარი მეფის გვერდით მხარ და მხარ იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ... დიდი მეტროლი იყო... მეფის სიყვარული დაიმსახურა...

— ეგ რომელზე ბრძანებ?

— პავლია მახარაძეზე... ის ჩემი ქმარი იყო.

— პავლია მახარაძე?

— ჰო...

— მახსოვს... დავით სარდალის ბრძანებით პირველი ის გაიჭრა ასპინძის ომში... ვაჩაკურად დაიღუბა...

მეფემ ქული მოიხადა.

— რა ვუყოთ, ქვეყნის სამსახურია, — განაგრძო დედაბერმა, — დაიღუბა, მაგრამ ქვეყანა გადარჩა... მას აქეთია სოფელი მიხანავს... სოფელი მენძარება... თუ შეფე არ მობრძანებულა თამარაშენში, ალბათ, ყველას აქ ნახავდით...

— ჰო, მაგრამ, — სიტყვა ჩამოართვა მეფემ, — შენ ყველაზე მეტად გამართებდა გენახა მეფე და წყალობა მოგეთხოვა.

— არა, ბატონო, — მიუგო დედაბერმა, — მეფის წარამარა შეწუხება ვის გაუგონია. ისედაც ქვეყნის ზრუნვითაა დატვირთული... მე კიდეც არა მიშავს რა, ჯერ არც ისე მიხრწნილი ვარ, მკლავი მერჩის, ვირჯები... მეორეც, კარგია მეფის ნახვა, მაგრამ დროს გაცდენა არ ივარგებს, მუშაობას დავცდები. აგერ, მზე იწვევება...

მეფეს დიდად მოეწონა დედაბერის პასუხი, ოქროთი სავესე ქისა გადასცა და უთხრა:

— აი, ეს შენ, რომ აგრეთი მუყაითი და გამარჯვლი დედა ყოფილხარ. შენს მეზობ-

ლებს უთხარი: თქვენ მეფის სანახავად წახვევლით თამარაშენში, მე კიდეც თვითონ მეფეთათვისი ფეხით მეხალა ჩემს სანახავადა-თქო! დედაბერი გაშრა:

— მამ შენ...

— ეგ სულერთია, დედა უთხრა, — მეც შენსავით დროს ტყუილატბრალოდ როლი ვკარგავ...

შემდეგ შედიდურად ამართულ ტაძრისაკენ ხელი გაიშვია:


— ეს ნიქოზის ტაძარია, არა, ზაალ მაჩაბელო?

— დიახ, გახლავს, მეფეო, — მიუგო თავადმა მაჩაბელმა.

— ჰო, ვიცი, მანდ წმიდა რაქუნის ნეშტი მარხია... წავიდეთ, ვნახოთ, — სიტყვა მეფემ და ქუსლი ჰკრა მერანს.

განცვიფრებულ დედაბერს ხელში დაებლუჯა მეფის საჩუქარი და თან თვალს არ ამორებდა ზემონიქოზისაკენ მქროლავ გვირგვინოსანს.





### ნ. კ. კავლოში

(დაბადებიდან 100 წლისთავი)

ბოლსევიკური მთავრობის საყოველთაოდ ცნობილი რუსი დიდი მეცნიერი ივანე პეტრესძე პავლოვი დაიბადა 1849 წლის 26 სექტემბერს, მეფის რუსეთის პროვინციულ ქალაქ რიაზანში. პავლოვის მამა პატიოსანი, პირდაპირი და მშრომელი ადამიანი იყო. უყვარდა ფიზიკური შრომა და წიგნი. შვილებს უჩიქვდა ყოველი წიგნი, მისი შეხარისხის უწყობას ათავისებლად, ორჯერ მაინც წაეკითხათ. იმავე დროს ფიზიკურ შრომასაც აჩვენებდა, ამუშავებდა ბაღსა და ბოსტანში, ასწავლიდა ღერგობებსა და ხარატობას. ასეთი შრომის მოყვარე ოჯახში აღზრდილმა პატარა ივანემ წერა-კითხვა სახლშივე ისწავლა, შემდეგ კი სასულიერო სასწავლებელში შევიდა.

სასულიერო სასწავლებელში პავლოვი ძლიერ დაინტერესდა იმდროისათვის ცნობილი ბუნებისმეტყველთა წიგნებით, განსაკუთრებით ფრანგი მეცნიერის მოსეს წიგნით „ლუქსა პულის ისტორიით“. ამ წიგნში საინტერესოდ იყო დასმული და გაშუქებული საკითხი იმის შესახებ, თუ ცხოველებისა და ადამიანის კუჭსა და ნაწლავებში მოხედრი-

ლი საკვები ნივთიერება როგორ იქცევა ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის შინაგან ნელ ნაწილებად — სისხლად, კუნთებად, ძვლებად და სხვ.

საქმლის მიხედვით პროფესორ ივანე პეტრესძის მიუწევრობელ მუცლის ორგანოებზე, კუჭსა და ნაწლავებში მიმდინარეობს და იმ დროისათვის საიდუმლოებით იყო მოცული. პავლოვმა ბავშვობიდანვე მიხილ დაიწახა, ფარდა ჩამოეხადა ბუნების ამ საიდუმლოებისათვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლით გატაცებულმა პავლოვმა სემინარიის დამთავრებას აღარ დაუცადა და 1870 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შევიდა.

უნივერსიტეტში ი. პავლოვი ისეთ კარგ სტუდენტად ითვლებოდა, რომ ჯერ კიდევ მერე კურსზე ყოფნის დროს პროფესორმა ოვსიანიოვმა კუჭქვეშა ჯირკვლის ხერვების შესწავლა დაავალა. პავლოვმა ეს საკითხი ისე კარგად და სრულყოფილად დაამუშავა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ 1874 წელს ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული.

უნივერსიტეტში სწავლის დროს პავლოვზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მოწინავე იდეებით გაპსუვალულმა და იმ დროისათვის ცნობილმა რუსმა პროფესორმა ციონმა. ციონი უნივერსიტეტში ასწავლიდა ფიზიოლოგიას (მეცნიერება ცხოველთა და ადამიანთა ორგანიზმის სიცოცხლისა, მუშაობისა და დანიშნულების შესახებ). პავლოვმა მტკიცედ გადასწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე ფიზიოლოგიაში ემუშავნა და მამუნივე ციონთან დაიწყო მუშაობა.

1875 წელს პავლოვმა პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ თავისი ცოდნა ფიზიოლოგიაში საბუნებრივ არასაკმარისად მიიჩნია და იმავე წელს პეტერბურგის მედიკოპირატურული აკადემიაში შევიდა, სადაც შესაბამის კურსზე დაიწყო სწავლა.

პავლოვის ასეთი დიდი მისწრაფება, თავდადებული შრომა, დიდი ნიჭი და უნარიანობა შეამჩნია იმ დროის რუსეთის ყველაზე უფრო ცნობილმა ექიმმა, გამოჩენილმა პროფესორმა ბოტკინმა და პავლოვი სამუშაოდ მიიწვია მედიკოპირატურული აკადემიაში შინაგან დაავადებათა კლინიკაში, რომელსაც სათავეში თვითონ უდგა.

პავლოვი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა ბოტკინის კლინიკის საცდელ-ექსპერიმენტული ლაბორატორიის მრავალფეროვან მუშაობას და აწარმოებდა დიდი მნიშვნელობის მქონე მეცნიერულ მუშაობას, სწავლობდა და ირყევდა გულისა და სისხლ-ძარღვე-

ბის ნერვების მოქმედება-დანაშნულებას. ამ კვლევის შედეგად პავლოვმა გულში აღმოაჩინა ახალი ნერვი, რომელიც აძლიერებს და ეხმარება გულის კვებას. ამ ნერვს პავლოვმა შეკვებავი ანუ „ტროფიკული ნერვი“ უწოდა და მეცნიერებაში ცნობილია, როგორც პავლოვის ნერვი. ამ ნერვის შესახებ პავლოვმა საღებტორო დისერტაცია დაწერა და ბრწყინვალედ დაიცვა კიდეც. 1877 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პავლოვი თვალსაჩინო მეცნიერულ მოღვაწეობისათვის ოქროს მედლით დააჯილდოვეს და ორი წლით საზღვარგარეთ გაგზავნეს სამეცნიერო მივლინებაში.

საზღვარგარეთიდან, დაბრუნების შემდეგ პავლოვი თავის ბავშვობის ოცნების განხორციელებას — საქმლის მონელების საიდუმლოებისათვის ფარდის ჩამოხდის საქმეს შეუდგა და ცდებით ბევრი ბრწყინვალედ გადასჭრა.

თავის ტვინის მუშაობის მოქმედებაზე დაკვირვების საწარმოებლად პავლოვმა სანერწყვე ჯირკვალი აირჩია. დროთა ვითარებაში, მრავალი თანამედვერული, გონივ-

რულად დაყენებული ცის შედეგად დაადგინა, რომ სანერწყვე ჯირკვლის მუშაობა და ნერწყვის დენა შეიძლება გამოეყვით არა მარტო ცხოველისათვის უწყვეტად საჭმლის მიცემით, არამედ ცხვირზე განმეორდა, შემდგომ მხოლოდ წითელი ელხათურის ანთება, — მთხუდავად იმისა რომ საქმლის ძალი არ დებულობს, და უშუალო გამიზიანებას ადვილი არა აქვს, — ნერწყვის დენას იწვევს. ეს იმითაა ხდება, რომ თავის ტვინის დიდ ჰემისფეროებში მყარდება ერთგვარი კავშირი პირობით გამოიზიანების, ვითქამ, — წითელი ელხათურის და უშუალო გამოიზიანების — საქმლის შიერ გამოწვეულ აღზნებით კერებს შორის (იხ. სურათი).

უშუალო გამიზიანების, ანუ საქმლის მიერ გამოწვეულ ფიზიოლოგიურ მოვლენას — ამ შემთხვევაში ნერწყვის დენას, პავლოვმა უშუალო ანუ თანდაყოლილი რეფლექსი უწოდა. პირობით გამოიზიანებით გამოწვეულ რეფლექსს — პირობითი რეფლექსი.

1907 წელს ი. პავლოვი რუსეთის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

დიდი რუსი მეცნიერი ი. პ. პავლოვი გარდაიცვალა 1936 წელს.

გარდაცვალების წინა დღეებში პავლოვმა საბჭოთა ახალგაზრდობის სახელზე წერილი დასწერა. ამ წერილში პავლოვი ამბობს: „რას ვუსურვებდი ჩემი სამშობლოს ახალგაზრდობას, რომელმაც გადასწყვიტა თავი დასდოს მეცნიერებისათვის?“

უპირველს ყოვლისა თანამედვერობას... ცოდნის დასაგროვებლად თქვენი მუშაობის დასაწყისშივე მიეჩვიეთ თანამედვერობას... მიეჩვიეთ თავშეკავებას და მოთმინებას...

მეორე — თავდაბლობა... ნუ შეგაპყრობთ სიამაყე, სიამაყის გამო თქვენ ვაჯილდუდებით იქ, სადაც ოათობაა საჭირო, სიამაყის გამო თქვენ უარს იტყვით სასარგებლო რჩევასა და მეგობრულ დახმარებაზე.

ესამე — მეცნიერებასაღმი უსაზღვრო სიყვარულია. გახსოვდეთ, რომ მეცნიერება ადამიანისაგან მოითხოვს მთელ მის სიცოცხლეს... იყავით უსაზღვრო თავდადებული თქვენს მუშაობასა და თქვენს ძიებაში“.

საბჭოთა ახალგაზრდობა პავლოვის ამ დარჩევებს საამაყოდ ასროლებს.



პირობითი რეფლექსის სქემატური გამოხატულება.

ქიმი იოსებ ძუარჩიშვილი



ინლმ ინსარი

მ ო თ რ ო ბ ა

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

პარიზში, მდინარე სენის ნაპირას ქვანახ-  
პირის ერთერთ წერტზე ორი მუშა გულ-  
მოდგინედ სვლიდა გემიდან ქვანახპირს.  
ისინი ისე გაძურულნი იყვნენ, რომ თვალე-  
ბი ძლივს უჩანდათ. ერთ მათგანს მიმელი  
ერგვია. და აი მიმელმა დაიწყო:

— დღეს მშვიერი გამოვეყო სამუშაოზე.  
ჩემს თავს არა ვჩივი, შინ პატარები დავტო-  
ვე ულუქმაპუროდ, — თქვა ეს თუ არა, თა-  
ვი დაძვარა. — ცოლი საავადმყოფოშია, —  
განაგრძო მან მცირე ხნის შემდეგ, —  
ექიმს ცალკე უნდა მისცე ფული და საავად-  
მყოფოს პატრონს კიდევ ცალკე. ბოლოა მახ-  
რჩობს — ზარმაცი არა ვარ, მუყაითად ვმუ-  
შაობ და მაინც სიღარიბე არ მშორდება. ვაი,  
ასეთ სიცოცხლეს!

იგი შეჩერდა, ნიხბით აღებული ნახშირი  
ისევე გემზე დაჰყარა. წელში რომ გასწორდა,  
მხოლოდ მაშინ შენიშნა გამვლელი, რომე-  
ლიც განერებულყოფი და ინტერესით შეს-  
ცქეროდა მათ.

მიმელს ეს ამდენად ეუცხოვა, რომ უნებ-  
ლიეთ ჰკითხა შეჩერებულ მგზავრს.

— ძმობო, ისე გვიცქერი, თითქოს შე-  
მოგენატრი, — მევე მწარედ გაიღიმა და  
ირონიით დაუბატა: — მზად ვარ ადგილი და  
ტანსაცმელი შემოგათავაზო...

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა გა-  
ვლელმა.

ამას არ მოელოდა მიმელი და მეტი დარ-  
წმუნებობისათვის უთხრა უცნობს:

— მე მზად ვარ გაგიცვალო ჩემი მდგომარე-  
ობაზე, თანახმა ხარ?

— აჰ ვითხარო, დიდი სიამოვნებით, —  
კვლავ მტკიცედ მიუთვა გამვლელმა და წინ  
წაშიოწია.

გამვლელი მართლა მზად იყო თავისი  
ტანსაცმელი გაეხადა, გადაეცვა მუშის გა-  
სურული ტანსაცმელი და ჩაძღვარიყო მესა-  
ხმირების როგში.

— შენ თუ მართალს ამბობ და არ ხუმ-  
რობ, ჩაბოდი ჩვენთან, აგერ ჩემი ნიჩაბი და  
ხალათი!

გამვლელმა მტკიცედ გადმოღდა ნაბიჯი  
წი და ქვანახშირით დატვირთულ გემში  
ჩაბტა. უმაღ ხელი გაიკრა ტანსაცმლის გა-  
სახდელად.

— ძეგობარო, — უთხრა უცნობს მიმელ-  
მა, — შე ვითმობ ჩემს სამუშაოს, ვითმობ  
ჩემს ტანსაცმელს, მართალია გამურულს,  
მაგრამ მაინც სვეტაქს — იგი სისხლით არაა  
გასერილი, კაცი არ მომიკლავს...

— არც შე ვარ მკვლელი, — შეჩერდა მი-  
მელი უცნობმა, რომელიც ზურგით გემს  
კედელს მიყრდნობოდა, პირით მდინარეს  
მისჩერებოდა, რომლის იქით ცადაწვილი—  
ეიფელის კოშკი\* მოჩანდა...

... უცნობი მორისი აღმოჩნდა ქალაქ ორ-  
ლეანიდან, სადაც იგი მუშათა აჯანყებებს  
ხელმძღვანელობდა. ორლეანიდან გამოქ-  
ცეული, დილით პარიზში ჩამოსულა. და აი  
სწორედ ქანდარებისათვის გზა-კვლიო რომ  
აერია, მიმართა ასეთ ხერხს — ჩაეცვა მი-  
მელის გამურული ტანსაცმელი და შედგომო-  
და გემიდან ქვანახშირის გადმოტვირთვას.

— მაშ თქვენა ხართ მუშა მორისი? თქვე-  
ნი სახელი გვსმენია! — უთხრა მიმელმა,  
როცა მისი ნაამბობი მოისმინა.

\* ეიფელის კოშკს აქვს 300 მეტრი სიმაღლე, აშენე-  
ბულია პარიზში, მარის ველზე 1889 წელს ინჟინერ  
ეიფელის მიერ.

— დიან, მე ვარ მუშა მორისი.  
— და მერე აქ გეძინია შენ, მუშა მორისს? ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლს? — შეუკავებელი გაკვირებით მიმართა მიშელმა.— ეს პარიზია, თავმესაფრას ყველა ჩვენგანი მოგვცემს... პარიზი საფრანგეთია, პარიზი ფრანგი ხალხია! ავერ ჩემი ხალხით, მომეცი შენი. დაე მე დაძლიერონ!  
ამ დროს უეტრად გაისმა გაზეთის გამყიდველის ძახილი:  
— ომი! ომი! ომი!...

\*\*\*

შეოთხე დღეს იმ გემზე აღარავინ მუშაობდა, ნიჩგები უწყსრივად იყო მიმოყრილი. პოლონეთზე თავდასხმის გამო, ფაშისტური გერმანიისათვის საფრანგეთს ომი გამოეცხადებინა და ძეშები უკვე თოფის ქვეშ იყვნენ დაყენებული.  
ორღეახტე მუშა მორისზე ვინაა ფიქრობდა, ახ ვინაა დაიჭერდა მას, როცა ხალხი სატუსაღოდან გამოჰყავდათ ომში წასაყვანად. საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას უმუშევრობისათვის თავი ვერ გაერთმია, აძირტაც იგი არეული სიხარულით მიერეკებოდა ომში მუშებს. მორისიც არ მიაში გაიწვიეს.  
თოფის ქვეშ მყოფ მორისს მხოლოდ ისედა აფიქრდა, რომ მის ახალგაზრდა ცოლს ეხნეტას შვილი და თავისი თავი უნდა ერჩინა.

\*\*\*

ყველას ეგონა, რომ ომი ისეთ ძლიერ მტერთან, როგორც ფაშისტური გერმანია იყო, იქნებოდა ხაზგარძღვი და სისხლისმღვრელი. ასე ეგონა მუშა მორისის ცოლ-ვილსაც, მაგრამ ომის დაწყება ძლივს გაიგო ხალხმა, რომ იგი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

უნებლიედ კითხულობდნენ:  
— რა იქნა საფრანგეთის მთავრობა?  
— სადა 100 მილიონიანი საფრანგეთის იმპერიის ჯარი?  
პასუხი კი არ იყო.

ახალ-ახალი დაუჯერებელი და ერთი-მეორეზე საშიში ცნობების გაერცელება არ წყდებოდა. ამობდნენ: საფრანგეთის ჯარი ტყვედ ჩავარდა. პარიზელები მორბიანო, გერმანიის მოტორიზებული ნაწილები აჩქარებით წინ მოიწვევენ...

ეს ხმები მალე მჭარე სინამდვილედ იქცა: ორღეახტე მოადგა გამოქცეულ პარიზელთა დიდი ღვარი, რომელიც ბორღოს გზით ესპანეთის საზღვრებსაკენ მიემართებოდა.  
ამ ნიაღვრის მოსდევდნენ და ხან მას უეროდებოდნენ საფრანგეთის უკვე დაშლილა ჯარის ის ჯგუფები, რომლებიც სულმოუ-

თქმელად ფრონტიდან მორბოდნენ, რათა ტყვედ მაინც არ ჩავარდნოდნენ მტერს. მაგრამ მათ გერმანელები მოტორიზებულით კვალდაკვალ მოსდევდნენ, ხან გზას გადაუჭრიდნენ და ქანცაყუყუმილ ფრანგ ჯარისკაცებს იჭირდნენ.  
მუშა მორისის ვაჟმა, როგორც ვი უკრქვა სახელად, თავისი თვლით დაინახა პარიზელების ნიაღვარიც, ტყვე ფრანგი ჯარისკაცებიც და დლოხდა, — თავი დამცირებულად იგრძინო...

ეს ხდებოდა 1940 წლის ზაფხულის დასაწყისში. იმ დღეების ამინდიც ისე არეული და ბუნდოვანი იყო, როგორც თვით საფრანგეთის ცხოვრება. ცახე სქელ ნისლეებს შავი ღრუბლები სცვლიდნენ, აძირტომ ხან თქორავდა, ხან კოკისპირულად წვიმდა.

მხელი იყო თქმა, ბუნება უფრო მწუხარე იყო ამ დროს, თუ გო...  
სახე მოღუშულმა გიმ მკაცრად შეაღო სახლის კარი და მკაცრადვე მიხურა. რამდენიმე ხანიჯი ძლივს წაღგა წინ, რომ მის უკან კარის გაიღო. უშალ მობრუნებული გი ელდასაქრავი დარჩა: მის წინ მამამისი მორისი იდგა, ფრანგი ჯარისკაცის ტანსაცმელში, თოფით ხელში. გის არ ესიაომვნა გამოქცეული ჯარისკაცის დანახვა... ესენტი მქარაი რომ დაინახა, უხლოდა მხიარულად მიეგებოდა, მაგრამ უშალ თავი შეიკავა და უნებლიეთ მოიღუშა.

მორისი გაფითრდა, უკან-უკან დაინახა ისე, თითქოს გაბრუნება უხლო, მაგრამ ფიქრებს შეუღოჭია და არ უშეგებნო...

— მამა, რა მოხდა, რად შეგვარცხენით? — ხმა ამოიღო გიმ.

— გველატეს, გაგყვიდეს! — მძიმედ ამოიგმინა მორისმა. — ფრანგმა ფაშისტებმა კარი გაუღეს გერმანელ ფაშისტებს. ჩვენ ომი არ გვიანახავს; გერმანელები წინააღმდეგობის გაუწყველად იღებენ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. ფრანგი მდიდრები გერმანელ ფაშისტებს ეხმარებიან შმრომელთა დასაჩაგრავად...

— გერმანელებს ეხმარებიან ფრანგი მდიდრები? — თითქოს თავისთვის ჩაიღაპრა გიმ და თვალწინ წარმოუღდა მდიდართა შვილები, მაძლარნი, კარგად ჩაცმულნი, ლიცეუმებში და კოლეჯებში მოსიარულენი. გიმ კი სწავლა ვერ განაგრძო სიღარიბის გამო, ფეხმიწველა დადის, შია, სწყურია, ნიჭითა და ყოჩაღობით მდიდართა შვილებს სჯობნის და მათი მონა კი უნდა გახდეს...

შურისგების გრძნობით აღსავსე გიმ მამის თოფს ხელი ვეუკაცივით წაავლო და წამოიძახა:

— თოფი მე დამითმე, მამა!

ერთ დღეს ორღენანში გესტაოს საწამებელ სარდაფში 14-15 წლის ფრანგი ბიჭუნა შემოიყვანეს. ყმაწვილის შემომყვან გესტაპოელებს ეტყობოდათ, რომ მათ რაღაც „ქარგი ლუქმა“ ჩაეგდოთ ხელში. გესტაოს უფროსიც, რომელიც მათ სარდაფში დახვდათ, ვერ ფარავდა თავის სიხარულს. მან თვითონ შეუღუსნა ხელზე ბორჯკლი პატემარს და თითქმის დილინით ჰკითხა:

- ვინა ხარ შენ?
- ფრანგი, — მშვიდად მიუგო ყმაწვილმა.
- შენი სახელი?
- სამშობლო! — სთქვა ახალგაზრდამ, თავი მაღლა ასწია და გესტაოს უფროსს პირდაპირ თვალებში შეხედა.

— ეს ჩვენ დაგვცინის! — იყვირა გესტაოს უფროსმა. აქეთიქიდან მდგომმა გესტაპოელებმა ბიჭუნას ერთდროულად გააწნეს სილა სახეში. მერე ტანზე შემოახიეს ხალათი და შიშველ ზურგზე რეზინის ჯოხები გათაუჭირეს.

- ბიჭუნა ტკივილებისაგან დაიკლავა.
- ახლა მაინც იტყვის, მოეშვიო! — შეაჩერა გესტაპოელები უფროსმა. ცემისაგან ყმაწვილის აჭრებულმა ზურგმა სიამოვნება მოჰგვარა ჯალათს.
- ვისი შვილი ხარ? — ჰკითხა მან ყმაწვილს.

- ხალხის! — მშვიდად მიუგო ბიჭუნამ.
- შენ დედამა არა გყავს, ობოლი ხარ?
- თითქოს მოეფერა ფლიდი უფროსი.
- მე ობოლი არა ვარ, ჩემი დედამა ფრანგი ხალხია, — კვლავ თავის მაღლა აწევით თქვა მან.

— ეს უმგავსობეა! — წამოიძხა გესტაოს უფროსმა და წამოდეგა. — გამოდის, რომ ეს ჩვენ გეწამებს... ერთი გააგებინეთ თუ სად იმყოფება იგი ახლა და ვინა ვართ ჩვენ! გააგებინეთ, როგორც საჭიროა... — მიუბრუნდა თავის ხელვეკითებს და მუშტო მარჯა დარატყა მაგიდას.

გესტაპოელები დაფაცურდნენ. ბიჭი საწამებელთან მიიყვანეს. ყმაწვილი როდი დელოდა ჯალათებს — თავისივე ხელით ჯერ პერანგისა და ხალათის ნაფლეტები მოიცილა, მერე მთლად ტანშიშველი მივიდა და მშვიდად დაწვა საწამებელზე, თითქოს თავის ლოგინაო...

ეს არ ესამოვნა გესტაპოელებს და უფრო მეტი სისასტკიოთ დაუწყეს წამება. ყმაწვილმა მძლე გრძნობა დაჰკარგა.

— შესდექით! — დაიყვირა უფროსმა და მთლად სისხლში გასერილ მსხვერპლს თავზე დაადგა. მათი საზრუნავი ის-აო იყო, რომ ბიჭუნა არ მომკვდარიყო. ისინი ხომ ველარ



გაიკებდნენ იმ საიდუმლოებას, რომელიც ბიჭუნამ იცოდა! ამიტომ მიიღეს ზომები და ბიჭი გრძნობაზე მოიყვანეს. თვალები გაახილა თუ არა მან, უფროსმა ჰკითხა:

- ესენი შენ ვინ მოგცა? — და უჩვენა ფრანგი ახალგაზრდობის დაბეჭდილი პროკლამაცია, კომუნისტების საიდუმლო ორგანო-„ლუქმანიტი“. გამოჩენილი ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის წიგნი „სტალინი“. უჩვენა ყველაფერი ის, რაც ყმაწვილს დაატყობრების დროს აღმოაჩნდა. ჩანდა, რომ მას კავშირი ჰქონდა ფაშისტების მოწინააღმდეგე ფარულ ორგანიზაციასთან.
- ყმაწვილმა პასუხის ნაცვლად თვალები დახუჭა და დაღუძოდა.

— ვინ მოგცა, თქვი! თქვე, თორემ... ამაოდ ემუქრებოდნენ: მეორედ და მესამედ ცემისაგან გონებადაარკული ბიჭი კლავ მოასულაირეს, მაგრამ მიიღო ვერ გამოტყნეს.

ეს გულმეზარადი ამბავი მთელს საფრანგეთს მოელო: ფრანგ პატრიოტ მებრძოლთა ფარულმა რაიონმა აიწყა ხალხს ყმაწვილის საშინელი ტარჯვაწამება... აიწყა მისი ეინობაც.

ეს ყმაწვილი იყო ჩვენი უშომარი გი. მისი სიმტკიცემ დააღონა გესტაპოელები. არ იცოდიან რა ელონათ, ფიორტი ბიჭის ასალაბრაკებლად. ამ საგონებელში იყვნენ. რომ ერთ-ერთ გესტაპოელს უკვე მოეფიქრებინა მისი გამოტყნის ახალი საშუალება: — მე ვიცი მე ავალაპარაკებ იმ ლლას! — გაიძახდა და თან სიხარულით ხტოდა.

გესტაოს უფროსი კი, თითქოს არც გაუგონიაო, კვლავ განაგრძობდა მძიმე ფიქრს. — არ სჯეროდა, რომ ამ „ეშმაკის ფენს“ რაიმე გამოსტყობდა.

— ჯერ ეწამოთ. — დაიწყო დაბალი ხმით იმ გესტაპოელმა, — წამებით დაბნედილი ბიჭი დაღამებისას გაეყვანოთ და ეზოს

გარეთ მოედანზე დავდით. როცა გონს მოვა და თავს თავისუფლად იგრძნობს, უთუოდ გაიქცევა იქით, საითაც თავისიანები, ან თავმესაფარი ეგულება. ჩვენ მას ფენდაფენ მიეყვით...

—დიდებულია! გასაგებია! — დაიძახა გესტაპოს უფროსმა და კმაყოფილებით წამოიდა.

სხვებიც წამოდგნენ.

აი, გაიღო საწამებელი სარდაფის კარი. გი შემოიყვანეს. მან გესტაპოელთა სახეზე ამოიკითხა, რაც მოელოდა და წინაწინ თვალები დახუჭა, გაქვავდა. ამჯერად წამებისათვის სხვა ხერხი გამოენახათა გესტაპოელებს — დასაბნელებელი წამალი აყნოსეს ყმაწვილს, რათა ღონე მთლად არ წართმეოდა და გამოფხიზლების შემდეგ ფეხზე წამოიღომა შესძლებოდა.

ვეება ტანის ტლანქმა გესტაპოელმა გონებადაკარგულ ბიჭუნას დაავლო ხელი და წიწილასავით გაიტაცა ეზოდან კარბა მოცილებით და მოედანზე დაავლო. დაბნელებილი გი კაცს მკვდარი ეგონებოდა, მაგრამ ვის უნდა დაენახა, როცა გავლა იქით, იმ მოედნისაკენ აღარავის შევიძლო — გესტაპოს აეკრძალა ხალხისათვის იქ მოძრაობა. მხოლოდ ზოგიერთი ცნობისმოყვარე ყელყელობდა, შორიდან დაენახა თუ რა ხდებოდა მოედანზე, და იმთაღ ჩამოწოლილი ბინდი უშლიდა ხელს.

სამაგიეროდ არც ისე შორს ჩასაფრებულნი გესტაპოელების თვალი არ შორდებოდა უგონოდ დაცემულ გის, ყოველ წუთს მოელოდნენ ბიჭის გამოფხიზლებასა და წამოდგომას. მაყურებელ ჯალათთა შორის ყველაზე მოხერხებული ადგილი გესტაპოს

უფროსს ეკავა და მოთმინებაც ყველაზე მეტად მას დაჰკარგოდა.

— ნუთუ გრძნობა არ დაუბრუნდა, რატომ არ დედაბა?! — იჩინებოდნენ წყვეტილ წუმ იგი და თან ბიჭს თვალს არ ამოიკებდა. მალე გიმ თავი წამოსწია, მიხედ-მოიხედა, მერე ხელ-ხელა ზეზე წამოდა. გესტაპოელები სუნთქვაშეკრული უქცეოდნენ და უცილობდნენ, თუ საით წავიდოდა გი. მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ მათი ნორჩი მსხვერპლი უკან — გესტაპოს შენობას უბრუნდებოდა...

უცებ მოედნის გარეთ ერთი ჩოჩქოლი და აურზაური ატყდა. შიმღვე რამდენიმე სროლის ხმა გაისმა ზედიზედ.


ეს — ანტიფაშისტს ახალგაზრდათა ფარული ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესხნენ თავს გის მწამებლებს.

სროლის ხმამ დააბნია გესტაპოელები. მათი ამ დაბნეულობით ისარგებლა გონიერმა გიმ და გესტაპოს კართან მისული, უცებ მიბრუნდა, იქვე ავტომობილის გვერდით მდგარ მოტოციკეტს მოახტა და გაჰქროლდა.

იღვის სისწრაფით მიჰქროდა გი და თვალწინ ედგა მისი საყვარელი გმირი ქანა დარკი — 16 წლის უბრალო ფრანგი გლეხის ქალიშვილი, რომელმაც დაამარცხა მეხუთმეტე საუკუნის ინგლისელი დამპყრობლები.

... და რატომ არ შეიძლება მან — ორღეანელმა ვაჟმა დაამარცხოს მყოფე საუკუნის უღობველი დამპყრობლები — გერმანიის ფაშისტები? — ასე ფიქრობდა იგი.

...ამო იყო ბრანისაგან გაცეცხლებულ გესტაპოელთა დაღვენებ — გმირმა გიმ თავი უპეე დაბურულ ტყეს შეაფარა.





### ნაკვეთი

დიდი სამამულო ომის დროს მტრის ზურგში მოქმედებდა ახალგაზრდა ქართველი გამომგონებელი თენგიზ შავეგულიძე, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა მოძვე ბელორუსიაში.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამ რომ გაიშარჯვა, თენგიზი ექვსი წლისა იყო. იგი იზრდებოდა და ვაჟაცდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს მან ბავშვობა ქუთაისში გაატარა, უმალესი განათლება კი თბილისსა და მოსკოვში მიიღო.

ბატარობაშივე ეტყობოდა თენგიზს მუყაითობა, საზრიანობა, მოხერხებულობა, ცნობისმოყვარეობა. „შვილი მთლად მამას დაემსგავსა“ — ამბობდნენ მასზე. და ტყუილად როდი ამბობდნენ. თენგიზის მამა—ეფენი ანანიაძე, როგორც ქუთაისის დემოსმემანქანე, დაუღალავად მოშაობდა ახალი ავტომობილების მუხრუჭის გამოგონებაზე. შვილიც, რომელიც წარმატებით სწავლობდა სკოლაში, მთელ თავისუფალ დროს მამასთან, დემოს სახელოსნოში ატარებდა. ცნობისმოყვარე ქაბუკი შესანიშნავად ფლობდა ჩაქუჩასა და ქაღალდს. სახლვარი არა ჰქონდა თენგიზის აღტაცებას, როდესაც მან პირველად და დამოუკიდებლად დაამზადა ორთქლმავლის მოდელი, რომელიც ბენზინით მუშაობდა.

ასე ჩიისახა თენგიზში მოსწრაფება ახლისაკენ, გამომგონებლობისაკენ.

როდესაც თენგიზ შავეგულიძე სატრანსპორტო ინსტიტუტში შევიდა, მან უკვე კარგად იცოდა ორთქლმავალი. ინსტიტუტში

სწავლის დაწყებამდე მან ერთი წელი დეპოში გაატარა. აქ იგი ჯერ ორთქლმავლის ზეინკლად მუშაობდა, შემდეგ კი მემანქანის თანამშემუდ. თენგიზი ისევ სტუდენტი იყო, როცა მან ორთქლმავლის დამოუკიდებლად მართვის უფლება მოიპოვა.

შეუპოვრებამ და გულმოდგინებამ მიზნისათვის მიღწევაში თავისი ნაყოფი გამოიღეს. ინსტიტუტი თენგიზმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. შემდეგ მუშაობა დაიწყო გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სპორტულმავლო სამმართველოში უფროს ინჟინერ-დისპეტჩერად. ამავე დროს იგი, მამასთან ერთად, ეწევა საგამომგონებლო მოღვაწეობას საკონსტრუქტორო ბიუროში. მათ შექმნეს ახალი სისტემის ორთქლმავლის მუხრუჭი, ტუმბოს რეგულატორი, ტუმბო-კომპაუნდი და სხვა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. მუხანათურად შემოსეულ მტერთან სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. საბჭოთა ადამიანმა სამშობლოს განსაცდელის ქამს გამოაქვდა აყველავ მძლავრად თავისი ნიჭი და შესაძლებლობა. ომის ქარცეცხლში ისახნელა თავი თენგიზმაც.

ომის პირველ დღეებიდანვე თენგიზ შავეგულიძე ბრძოლის ცეცხლში გაეხვია. ამ დროს იგი ოცეულს მეთაურობდა უკრაინაში. უშუალოდ ფრონტის ხაზზე მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ თენგიზს დაჰყავდა ორთქლმავლები, აბარებდა ჯარს ტყვიამაღლით.

გერმანელებმა მოულოდნელად უკან დასახევი გზები გადასჭრეს და თენგიზი მტრის შურებში მოხვდა. მაგრამ იგი არ დეცა სულთით, მას სწამდა, რომ გამარჯვება ჩვეს მხარეზე იქნებოდა. თენგიზი შეუერთდა სლავების ტყვეებში მოქმედ ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმს.

\* \* \*

თენგიზმა ქარის წისქვილთან ბილიყზე გადაუხვია და ტყეში შევიდა.

ქალაქ სლავების იატაკზევა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიხაილოვის სიტყვით ამ ბილიკს იგი პირდაპირ მეტყვევის ქონამდე უნდა მიეყვანა. უკვე ნახევარი საათი იარა თენგიზმა, მაგრამ ქონი ჯერ არსად სჩანდა. „გზა ხომ არ ამერია?“—ფიქრობდა იგი. კიდევ რამდენიმე კილომეტრი გაიარა, უეცრად მის წინ შუქმა გაიელვა და ჩაქრა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ აქ სადღაც ახლოს მეტყვევის ქონი უნდა ყოფილიყო. მალე მართლაც თენგიზმა გვერდზე გადასახვევი ბილიკი ნახა. გადაუხვია თუ არა, მის წინ ჩანებულბული ხის შენობა იშვართა. ქონი პირველი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მიტოვებული იყო.

თენგიზი გულისფერვალთ მიუახლოვდა ტყის სიღრმეში მდგარ ქონს და დააკაუნა. ვიღაცამ შიგნიდან კარების ურთოლი გააღო. თენგიზი უცებ მოზრდილ ოთახში მოხვდა, ორმელშიც ნახევრად ბნელოდა და წიქოს სუნი იდგა. ოთახში ათ კაცამდე იმყოფებოდა, სიბნელიში მათი სახეები პირველად ვერ გააჩნია თენგიზმა.

— ჩვენ გავგონა, რამე შეგამთხვა, ან გზა აგერია,—უთხრა მოხუცმა მეტყვევამ.—მოდი ახლოს, ღუმელთან დაჯექი, გათბი.

თენგიზმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ღუმელისაკენ და გაოცებული შესრდა. ღუმელის ირგვლივ მჯღომ ხალხში მან სამხედრო ტყვეები იცნო თავისი ბანაკიდან.

— თქვენ აქ როგორ მოხვდით, აქ რა გინდათ?!—წამოიძახა თენგიზმა.

— ისე, როგორც შენ მოხვდი, და ისა გესურს, რაც შენ... — უპასუხეს ბიჭებმა.

— ყოჩად, საიდუმლო კარგად დაგიცავს. არაფერი არ ვიცოდით ერთმანეთის შესახებ, — ჩაილაპარაკა თენგიზმა.— შენ რაღას მიმალავდი? — მიმართა მან სიმონ ქადაგიძეს.

— არც შენ ყოფილხარ ძალიან გულდია,— ხუმრობით უპასუხა სიმონმა.

სამი კაცის გარდა თენგიზი ყველას იცნობდა. აქ იყო კუზოვკოვი, პროფესიით მასწავლებელი, ლენინგრაძელი მანკი—მესამე კურსის სტუდენტი, იბრაგეიმი — შავთვალწარბა, გულჩათნობილი 35 წლის კაცი, რო-

მლის ნამდვილი სახელი და გვარი არაფერი იცოდა, შენატრი—ბელორუსი ხმელ-ნმელი, მაღალი, წაბლისფერთმიანი, ასე—33 წლისა, პროფესიით შოფერი.

ყველანი მხიარულად მოგონებოდა ცეცხლს უსხნდნენ და მიხაილოვი წაქსოდა. უცხოებენ. წუთით სიჩუქი ჩაიფარდა ყველა თავთავის ფიქრებს მოეცვა. გარეთ შესამჩნევა შრიალი გაისმა. ყველამ თვალები კარებს მიაკაყო. ვიღაცამ დააკაუნა.

— შემოდით,—გასძახა მეტყვევამ.

ოთახში მიხაილოვი შემოვიდა ვიღაც კაცის თანხლებით.

— არწიებო, უკვე თავი შეგეყრით, —

მიხიარულად სიტყვა მიხაილოვმა და იქ მყოფნი ათავალიერ-ჩათავალიერა.

ღუმელთან ადგილი დაუთმეს ახალმოსულეს. მიხაილოვმა თან მოყვანილი კაცი გააცნო ყველას:

— ალექსანდრ სერგეიჩი — თქვენი მეტაური..

— უკვე გვიან არის, აბა შევეუდგეთ საქმეს,—მიმართა მიხაილოვმა მეტყვევს, — იარალი გამოუტანე და დაურთიე.

მეტყვევე გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი უკან შემობრუნდა, თავისი 14 წლის ბიჭის თანხლებით. მათ შაშხანები, ხელის ყუმბარები და ერთი დაზგის ტყვიამფრქვევი შემოაგორეს. თენგიზს შაშხანა და სამი ხელის ყუ-



მბარა ეგრე. მიხაილოვი სათითაოდ აბარებდა პარტიზანებს იარაღს.

როცა საქმეს მორჩა, მან რაზმის მეთაურს მიმართა:

— ალექსანდრ სერგეიჩი, ნულარ დავაყოფნებთ, წაიყვანე ბიჭები, გათენებამდე უნდა აღვიღებ იყოთ!

პარტიზანები წამოიშალნენ. მიხაილოვი სათითაოდ ყველას ხელს ართმევდა და როგორც შეიღს ისე კოცნიდა.

გარეთ ისეთი ბნელი ღამე იდგა, თითი თვალთან რომ მიგეტანათ, ვერ დაინახავდით.

— მოწყვეით, ერთმანეთს ნუ ჩამორჩებით!

— ბრძანა მეთაურმა და ტყეს შეერია.

ასე დაიწყო თენგიზის პარტიზანული ცხოვრება.

სლავეტის მახლობლად ტყე ძალზე პატარა იყო, ამიტომ პარტიზანებს უხდებოდათ ფრთხილად მოქმედება, რომ გერმანელებს მათი აღვილსაყოფელი არ გაეგოთ. რაზმმა მალე თავის გარემო ფართო აქტივი შემოიკრიბა. სოფლის ინტელიგენცია, კომკავშირელები, ქალები, მოხუცები ეხმარებოდნენ პარტიზანებს.

მეორე დღეს შებინდა თუ არა, პარტიზანები ბანაკიდან გავიდნენ: ალექსანდრე სერგეიჩმა თან ხუთი კაცი გაიყვალა, მათ შორის თენგიზიც იყო. ეს პირველი სერიოზული დივერსია იყო და თენგიზი საკმარისად ღელავდა. დღეს უნდა ასრულებულიყო თენგიზის ოცნება — მტრისათვის სერიოზული ზარალი მიეყენებინა.

ბანაკიდან ასაფეთქებელი ხიდი ათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული. ჩქარობდნენ, 24 საათსა და ხუთ წუთზე მატარებელი ხილზე გაივიდნენ.

ცა ღრუბლებით იყო დაბურული, ბნელიდა. ალიომა ამაყად წინ მიუძღოდა პარტიზანებს. როდესაც რკინიგზას მიუახლოვდნენ, ღელეში ჩავიდნენ. აქ ჰქონდა დამალული ნაღმები ალიომას. რაზმი ახლა ფრთხილად იძროდა. თითოეულს ორ-ორი ნაღმი ჰქონდა ხელში. ხილთან შეჩერდნენ. თენგიზი ზედ ავიდა, ყური მიუგდო. არსიდან ჩქამი არ

ისმოდა, დანარჩენებიც აცოცდნენ. მატოლა ხილის დანადგმა დაიწყეს. როდესაც უკანასკნელ ნაღმი ამაგრებდნენ, პარტიზანებმა რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით ხმაოდლი გერმანული ლაპარაკი გერმანულ ენაზე უბოროდა რკინიგზის მცველები. მოლოდინ გზის გასასინჯავად. წესად შეინარჩუნებინებლეს, გზის დათვალიერება მატარებლის გავლის წინ. პარტიზანები უხმოდ ისევ ხევი ჩავიდნენ, გაინახნენ.

პატრულებმა გზა განაგრძეს. თანდათან მიწყდა პატრულების ფეხის ხმა. პარტიზანები ისევ ხილზე აცოცდნენ. უკანასკნელი ნაღმიც დაამაგრეს. თენგიზმა შეამოწმა ნაღმები, ესლა ყველაფერი როგზე იყო.

— ელექტრონით აფეთქებას არაფერი სჯობს,—ჩურჩულით უთხრა თენგიზმა რაზმის მეთაურს,—ბიკფორდის ზონარი კი სახათაბალო რამეა.

თენგიზს ეკვი ღრღინდა, ხიდი თუ ღროზე არ აფეთქდებოდა, ამდენი მზადება უქმად ჩაივლიდა.

სინთეზში ორთქლმავლის თანაბარი ქშენა გაისმა, ხილზე მხოლოდ თენგიზი და რაზმის ძეგთაური დარჩნენ, დანარჩენები ხევიში ჩავიდნენ. სულ უფრო გარკვევით ისმოდა მოახლოვებული ემელთის გრიალი. სიბნელეში წაბით გაივლია ასანთის მუქმა. ბიკფორდის ზონარმა შიშინით წვა დაიწყო. ორივენი ხევიში ჩავორდნენ, მერე სირბილით ხეე-ხეე გაიქცენ და დანარჩენებს შეუერთდნენ. ჰაერი უცებ აფეთქების ხმაშ შეახანზარა. შეძლევ რამდენიმე ხანს რკინის შეჯახებისა და მტრევის ხმა ისმოდა.

სლავეტის რაიონში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა ეშელოის აფეთქების შესახებ. როგონ-შეპეტოგაკას რკინიგზის ხაზზე ორი დღით შესწყდა მოძრაობა.

პარტიზანულთა პატარა რაზმი თავზარს სცემდა გერმანელებს.\*

### მიხეილ დავითაშვილი ლიმიტრი ჭუხიშვილი

\* მ. დავითაშვილისა და დ. ჭუხიშვილის ეს ნარკვევი რამდენიმე თვისაგან შედგება. რედუქცია აქედან ერთ თაჲს ბეჭდავს შემოკლებით.





# ჩაპაევი

30 წლის წინათ, 1919 წლის 5 სექტემბერს ლიბიუნსკში თეთრების ურიცხვი ჯარით ალყამორტყმული მძიმედ დაჭრილი ჩაპაევი, რომელსაც გამარჯვების რწმენა არ დაჰქარგოდა, თავის მებრძოლებთან ერთად მიაპობდა მდინარე ურალის ტალღებს. შუამდინარეშივე არც კი იყო ჩისული, რომ კახაკების ტყვიამფოქვევებით განგმირული ჩაპაევი წავიდა ფსკერისაყენ, ხოლო შემდეგ მისი ნეშტი გაიტაცეს ურალის ტალღებმა.

ჩაპაევის სიყველილი სწრაფად მოედო ვოლგისა და ურალის მხარეს, სადაც მას, სახალხო გმირს, ბავშვობიდანვე იცნობდნენ. აქ ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ჩაპაევი ჰქმნიდა წითელი გვარადის რაზმებს, საიდანაც შემდეგ შეიქმნა ჩაპაევის უძლეველი პოლკები.

ხალხმა ღირსეულად დააფასა თავისი სახელოვანი გმირი — ლეკებში, სიძღვრებში და თქმულებებში უყვარდა ძველი აუტო მას. ამ ლეგენდარული გმირის ცხოვრებას მიუძღვნა კომპოზიტორმა ალექსანდროვმა სიმღერა „ჩაპაევი ურალში“, ფერმანოვმა შესანიშნავი წიგნი „ჩაპაევი“. ვასილიევებმა უყვადვი ფილმი „ჩაპაევი“.

ვ. ი. ჩაპაევი დაიბადა 1887 წელს სოფელ ბუდიაკაში ღურგლის ოჯახში. პატარა ვასილი ოძულებული იყო ბავშვობიდანვე ბევრი ეშრომა. ტოლებთან სათამაშოდ მას ცოტადრო რჩებოდა, მაგრამ როგორც კი თავაშში ჩაებმებოდა, პირველობას ყოველთვის ისღებულობდა. განსაკუთრებით ეჩერებოდა მას ჯირითი და ცურვა. ვასილი მკვირცხლი მო-

ძრავი და მეტად მგრძობიარე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა სიძღვრები და თქმულებები ხალხის ცხოვრების შესახებ. იგი ხშირად საათობით უსმენდა მის პაპას, ყოფილ ყმას, ბატონობის აუტანელ თვითნებობაზე.

როდესაც 9 წლის ვასილს მამამ ჰკითხა — დასძლეო თუ არა სკოლაში სწავლასო, — ჩაპაევა მტკიცედ უპასუხა: — დავძლე, ეს მე არ გამიჭირდება, მაგრამ სკოლაში დიდხანს არ მოუხდა ყოფნა. 1897 წელს ვოლგისპირეთში მიშშილობა დაიწყო, მათი ოჯახი აყარა და სოფელ ბალაკოვში დასახლდა. 12 წლისა რომ განდა ვასილი, ხელზე მოსამსახურედ მუშაობა დაიწყო. აქ, ამ სოფელში შემთხვევით ჩამოსული მოხუცი მეარღანე უყვება ბავშვს მოგზაურობის ამბებს. ამან ძალიან დააინტერესა ვასილი და მიჰყვება მოხუცს. მასთან ერთად დადიოდა იგი ვოლგისპირა ქალაქებში და ხედავდა, რომ შრომელი ხალხი ყველგან გაჭირვებას განიცდიდა. ორი წლის შემდეგ იგი შინ დაბრუნდა და დურგლობას მოჰკიდა ხელი. მამა კმაყოფილი იყო შვილის ნაშუაგვრებით.

1914 წელს დაიწყო მსოფლიო ომი. ვასილი ჯარში გაიწვიეს, ფრონტზე. აქ ჩაპაევი, როგორც კი მცირე დროს მოიხელთებდა, გატაცებით კითხულობდა სახებლო ლიტერატურას, გაიცნო სახელგანთქმული მხედართმთავრების — ჰანიალის, სევიროვის, კუტუზოვის, ნაოლეონის და სახალხო გმირების — სტეფანე რაზინისა და პუგაჩოვის ცხოვრება.

1917 წლის შემოდგომაზე ნიკოლაევისკის მაზრის კომიტეტმა ჩაპაევი პარტიის რიგებში

მიიღო და ერთ-ერთი სათადარიგო ასეულის მეთაურად დანიშნა. შემდეგ კი არჩეულ იქნა ქ. ნიკოლაეცის კომისარო, საიდანაც მან განდევნა კულაკების, ესერებისა და ბურჟუების მთავრობა. ჩააყენა ჰქმნის წითელი გვარდიის რაზმებს და თავდადებით ებრძვის ახალგაზრდა რესპუბლიკის მტრებს.

ჩააყენა გულით უყვარდათ მეზობლებს. მათ იცოდნენ, რომ იქ, სადაც ჩააყენია, გამარჯვება უმკველია. ჩააყენიც ძალიან უფროსი იყო მათ. „ყველაზე ძვირფასი რამ ჩვენთვის აღამიანია, ბრძანება ისე დაამუშავე, რომ მოწინააღმდეგე დაამრცხო და შენი აღამიანები შეინარჩუნო“, — ასწავლიდა მეთაურებს ჩააყენი. იგი ბრძოლებში მუდამ პირველ რიგში იყო. ზმირად თვითონ მას გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან დაპირილი მეზობლები და უხვევდა ქროლებს.

ჩააყენის სახელი შიშის ზარს სცემდა მტრებს. მისი გამოჩენა მტრისათვის ყოველთვის მოულოდნელი იყო, ჩააყენმა იცოდა სწრაფი და გამანადგურებელი დარტყმა. თეთრი კახელების განდევნის შემდეგ ჩააყენი კოლჩაკის წინააღმდეგ იბრძვის. ამ დროს

გაიძა ლენინის მოწოდება: „ყველაზე კოლჩაკის წინააღმდეგ“. ამ ფრონტზე მებრძოლ 25-ე დივიზიას სათავეში წავა ფუნუნე. სადაც ბრიგადის მეთაურად დაინიშნა ჩააყენი, ამ ბრძოლებში ჩააყენი მსამურ დასჯა თავის ქალაქში, მაგრამ მისი მტრები დევნა და დაჯილდოებულ იქნა წითელი ღროშის ორდენით.

ჩააყენს თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლებული სოფლები სიხარულით ხვდებოდნენ.

— მამ, ამხანაგო ჩააყენო, აღარ დაბრუნდებიან თეთრები? — ეკითხებოდნენ მას.

— არ დაბრუნდებიან! — პასუხობდა იგი მტყიცედ და ცვალიდავალ მისდევდა მტრებს. თეთრები ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდნენ, რომ შეეჩერებინათ ჩააყენის რაზმი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო...

ჩააყენი დაიღუპა, მაგრამ მისი სახელი უკვდავი დარჩა. ჩააყენის საგმირო საქმეებზე აღიზარდნენ მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დიდ სამამულო ომში.

თამარ საჯანი

## უძველესი წიგნთსაცავი

მკვლარი ქალაქის ნინევის (ძველი ასურეთის დედაქალაქი) გათხრებისას აღმოაჩინეს მეფე ასურბანიპალის შესანიშნავი ბიბლიოთეკა.

როგორ, იტყვი თქვენ, ორნახევარი ათასი წელი მიწაში მყოფმა წიგნებმა ჩვენამდე მოაღწიეს?! ეს დაუჯერებელია.

დიახ, დაუჯერებელია ქალაქის წიგნებისათვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასურელები სწერდნენ ლურსულში ანაბათი (სოლის მსგავსი ნიშნები) თიხის სქელ ფირფიტებზე, რომლებსაც ჯერ გააშრობდნენ და შემდეგ გამოსწავდნენ. ფირფიტების საქირო რაოდენობა შეადგენდა წიგნს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 612 წელს ბაბილონელებმა დაიპყრეს ქალაქი ნინეია და მეფის სასახლე დასწვეს. მაგრამ ეს არ წარმოადგენდა ამ წიგნებისათვის საშიშროებას, რადგან ცეცხლი სწავს ქალაქს, პაპირუსს,


პერგამენტს (ეტრატს) — თიხის ფირფიტები კი უფრო მაკრდებიან ცეცხლში.

ასურბანიპალი წერაკითხვის მცოდნე და იმ დროის კულტურული აღამიანი იყო, იგი ქალაქებში, ტარებში, მეზობელ ქვეყნებში აგზავნიდა გადამწერებს, რომლებიც ეძებდნენ უძველეს ფირფიტებს და იწერდნენ მათ შინაარსს. ამის წყალობით ჩვენამდე მოაღწია ძვირფასი ტექსტების დიდმა რაოდენობამ.

ასურბანიპალის ბიბლიოთეკაში ნახავთ ლექსებს, იგავებს, სიმღერებს, შესანიშნავ პოეტურ ლეგენდებს და თქმულებებს მსოფლიოს წარმოშობის შესახებ, პირველ აღამიანზე..

ბიბლიოთეკაშია აგრეთვე საცნობარო წიგნები, გრამატიკის სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, სამართლის წიგნები, ქრონიკები და სხვ.

ეს ბიბლიოთეკა თიხის 30.000 ფირფიტისაგან შედგება.



ქართული  
საბავშვო ჟურნალი

# ხანძარი

ღამით გაჩაჩილაძე

პ ო ე მ ა

ნახ. შ. ცხადაძისა

კაცმა ცეცხლი გაიხადა  
თავის მორჩილ მსახურად.  
ცეცხლის ბინა არის ლამაზი,  
ლუმელი და ნათქურა.

საჭმელს ხარშავს, ოთახს გვითბობს,  
ღამით შუქად გვინთია,  
და ლულუნებს იგი, თითქოს  
უწყინარი გვრიტია.

მაგრამ ცეცხლი არის ცეცხლი,  
უგულო და მზაკვარი,—  
მას თუ ერთხელ გზა მიეცი,  
ან თვით ჰპოვა გზა-კვალი,

ხანძრად იქცეს ნაბერწყალიც,  
მკრთალი სხივის მაგვარი;  
თუ არ მოხვდა წამსვე წყალი,  
გადაგიწვას სახლ-კარი...

სოფელ-ქალაქს გადაუვლის  
შემზარავი კაშკაშით,  
და ამიტომ დამწყვედელი  
იყოს თავის საკანში.

იტკაცუნოს, ილულუნოს,  
ტკბილად მოვიმსახუროთ.  
დგას ქალაქში ამართული  
კოშკი სამეთვალყურო:

ზედ გუშავი გადმომდგარა,  
გარს ნისლეზი ავლია,—  
აცქერდება ცაში ხანძრის,  
თუ მშვიდობის კვამლია...

ღლით და ღამით სივრცეს ზეერავს  
თვალი დაუცხრომელი,—  
და მზად არის გასაფრენად  
რაზმი ცეცხლისმქრობელი.

სანოვანის მოსატანად  
დედა მიდის ბაზარში.  
თინას ეტყვის:—არ გაბედო.  
შვილო, ცეცხლთან თამაში.

და ოთახში თინა დარჩა  
თავის დედოფალათი.  
ზამთარია ჩონგურივით  
რეკავს კედლის საათი.

გარეთ ცივა, დაფენილი  
ყველგან თეთრი თოვლია,  
თითქოს ზღვიდან მოფრენილა  
უთვალავი თოვლია...

მოფრენილა, მოსდები  
სახლებს, ქუჩებს, ბაღნარებს...  
გულს სიცოცხლით ახალისებს,  
თვალს სითეთრით ახარებს.

მაგრამ ყინავს, ქარი გმინავს,  
ხე ირხევა ტატიით.  
ზის ლუმელთან ჩვენი თინა  
თავის დედოფალათი.

აცმევს ზამთრის ტანისამოსს  
ალერსით და ფერებით:  
—გაი, როგორ გაგყინვა  
ეგ ცაცუნა ზელეზი!..

მოდით ერთი კარგად გავთბეთ,—  
ეს უთხრა და წვალეებით  
მან კარები გამოაღო,  
ცხელ ღუმელის კარები.

და გამოჩნდა მოგზიზგივ  
ნაკვერცხლები ციმციმით.—  
დედოფალამ გაიხარა,  
დედოფალა იცინის...

გამჭვირვალე მინის თვალი  
შუქზე აელვებია...  
ირხვევიან ნაკვერცხლები,  
თითქოს ყვავილებია...

მაგრამ სახლში როგორ გაჩნდა  
ეს წითელი კალია?  
იატაკზე ახტა, დახტა,  
ნოხზე კვამლის კვალია.

თინა უკან გაეკიდა,  
ფეხი დაკრა, ვათელა,  
და კალია გადაიქცა  
შუცხ ციციანთელად...

აქეთ-იქით დაფარფატებს  
ავის მაუწყებელად,  
ახლა უკვე დიდი არის,  
როგორც ხატბიშკელა.

თინა ტახტთან დაეწია,  
მაგრამ ნაჭრის საბნიდან,  
ცეცხლი გაჰყვა წიგნებს, ფარდებს,  
ფასკუნჯივით აფრინდა...

იზრდება და იფოფრება,  
ალის ფრთები გაშალა,  
თითქოს ერთად ააფეთქეს  
ჟამრავი მაშხალა.



თინა კარებს მიაშურებს,  
მაგრამ შიშით ქვევდება,  
მოხვევია კარებს ცეცხლი  
ვეფხვი წითელთათება...

საიდანღაც ამ დროს უღვ  
გამოცოცდა წრუწუნა,  
სევდიანად თინას უტკერს,  
ცელქობა დაუწუნა...

მერე კვამლში მიიშალა,  
წრუწუნამაც დასტოვა...  
დაეკარვა დედოფალაც,  
თინა მარტოდ მარტოა...

ტირის, კივის, მოსთქვამს ბავშვი;  
—რად გავალე ლუმელი?—  
მერე თვალიც დაუბნელდა,  
ცეცხლია და ღრუბელი.

ღვას ქალაქში ამართული  
კოშკი სამეთვალყურო:  
არსად გაჩნდეს ცეცხლი მტრული,  
გზა შეუკრათ, დაეზუროთ!

ზედ გუშაგი გადმომდგარა,  
გარს ნისლეზი ავლია.  
აქტერდება, ცაში ხანძრის  
თუ შვედილობის კვამლია.

დღით და ღამით სივრცეს ზვერაგს,  
თვალი დაუტყრომელი.  
და მზად არის გასაფრენად  
რაზმი ცეცხლისმქრობელი.

ცას გუშაგი ზვერაგს ახლაც,  
იქვამა აიყოლია...

იქ რომ ბოლი დაინახა,  
სახიფათო ბოლია.

წამსვე დაჰკრეს საგანგაშო:  
—ჩქარა, ხანძარს შეგებით!  
უნდა ცეცხლზე გავიმარჯვოთ,  
ვისსნათ მოსახლეები.

და შეირხა დიდი კასრი,  
გაემგზავრა მანქანიბთ.  
მიჰქრის კასრი, კასრზე კაცი  
მოელვარე ჩაჩქანიბთ.

გაშმაგებით რეკავს ზარი  
და გზას უთმობს ყოველი;  
სამუშაოდ მიიჩქარის  
რაზმი ცეცხლისმქრობელი.

გაუხვიეს მარჯნივ მარცხნივ,  
ქუჩა შეაზნაბრეს...  
მიჭკრის კასრი, კასრზე კაცი...  
პეი, დაღექ ხანძარი!

აი, თინას სახლთან შედგნენ,  
ქუჩა გადააკავეს.  
თავზე ჩაჩქანს ისწორებენ,  
მკლავზე უწვად სამკლავეს.

რაღაც მილი დაგრაგნილი  
დაწვინეს ასფალტზე.  
ქშინავს ტუმბო, შეკრთა მილი  
მდინარის წყლით აღსავსე...

დაიკლაქნა, დაიძაბა  
როგორც გველის სხეული  
და შესტყორცნა ხანძარს სწრაფად  
ცივ ჩანჩქერის ხვეული.

და ჰა თვალწინ გადიშალა  
სასტიკ ბრძოლის სურათი:  
ცეცხლი ღმუის ქარიშხალად,  
წყალიც შხუის გულადი.

ზოგჯერ ცეცხლი არის მადლა,  
ზოგჯერ წყალქვეშ ცეცხლია...  
ცეცხლს დაეტყო თითქოს დაღლა,  
მიმჭრალს სახე შეცვლია.

შეაშხეფეს წყალი კიდევ:  
—აი, შენი სასმელი...  
და სირბილით აყვა კიბეს  
მიხო ძველი რაზმელი.

ცეცხლი ქრება, თანაც ოხრავს:  
—ცოტა მაინც დამტოვეთ...  
ვიწროდ ვიყავ... და რა მოხდა,  
ბინა გავითართოვე.

—ხმა გაკმინდე!—ეტყვის მიხო.—  
აჲ გეყოფა პარპაში,  
დაეტიე ნავთქურაში,  
ლუმელში და ლამაში.

ცეცხლი ჩაქრა, ცისფერ თალხად  
ქარმა კვამლი წაიღო...

და შეპკივლა უცებ ხალხმა:  
—ო, ასეთი რა იყო...

რას მიიწყდა ხალხის ზეგონი  
შედგა, სული გაკმინდა...  
თოვლში გდია ბავშვის თავი,  
დაცემული სარკმლიდან.

დიახ, თავი, მხოლოდ თავი,  
შავი, უთმო სრულებით,  
ო, თვლები შემზარავი,  
დამწვარ-დაზნარულები...

ცახცახებს და ეკვრის დედას  
ერთი გოგო პატარა...  
ეს თინაა, დღეს რომ დედამ  
სახლი გადააბარა.

ჰო გამომრჩა... თქვეც ელოდით  
ამბავს უფრო საშინელს.  
სულ პირველად რაზმელებმა  
თინა გადაარჩინეს.

ეს კი, თოვლში გდია თავი  
თინას დედოფალასი...  
იყო რაზმე მომხიბლავი,  
პეკლუტი და ლამაზი...

ცეცხლმა როგორ გამოსცვალა!  
რა ყოფილა ხანძარი!..  
გაზნარული თავის ქალა...  
ყურის ღრუში ნაცარი...

და წამწამზე მოსწყდა დედას  
ცრემლი, როგორც ალმასი:  
—კიდევ კარგი, რომ ეს არის  
თავი დედოფალასი;

რომ კეთილმა რაზმელებმა  
შენ გიშველეს მაშინვე...  
ვაი, შვილო, რად დამღუბე,  
სახლი დამინახშირე!

და ნახანძრალს გადახედავს  
დარდით გულჩათხრობილი.  
ზარი რეკავს, უკან მიჭკრის  
რაზმი ცეცხლისმჭრობელი.



# ბაკურიანის შკოა

ვის არ გაუგონია ბაკურიანი—მთელს სამკოთა კავშირში ცნობილი კურორტი და მრავალი სპორტული შეჯიბრების ცენტრი. ბევრი თქვენგანი უთუოდ ნამყოფია იქ. წიწვიანი ტყეებით დაფარული მთიანი ადგილია ბაკურიანი, ბუნების სიმშვენიერით უხვად დაჯილდოებული.

აი, ამ მშვენიერი ბუნების წიაღში მიუჩინეს თავშესაფარი მელიებს—აქ ამ თხუთმეტობედ წლის წინათ დაარსდა ნადირთ სამკოთა მეურნეობა. მოაშენეს მელიებიც—მათ ბაკურიანის მელა შეარქვეს და ახლა ამ სახელითა ცნობილი იგი მთელს საქართველოში და რუსუბლოკის ფარგლებს გარეთაც.

პირველად მეურნეობამ 36 დედამელა შეიძინა. თითოეული მათგანი სპეციალურ გალიებში მრათავსეს და თავ-თავისი სახელი შეარქვეს. დაუწყეს განსაკუთრებული მოვლა ყველა საჭირო პირობის დაცვით.

ერთი დედამელა შობს ერთიდან ექვსს ლეკვამდე. მელას ლეკვი ძალზე ლამაზია, ცოცხალი, მუდამ მოძრავი. მომვლელები ეზოა და გალიებს ყოველდღიურად ასუფთავებენ. ასეთი კარგი მზრუნველობითა და ექიმის ზედამხედველობით მრავალი ძვირფასი მელა შესძინა მეურნეობამ ქვეყანას. მელას ტყავი ძვირფასია, მას ხმარობენ პალტოს საყულოზე მოსაყოლებლად, წამოსასხმელად მფრინავებისათვის. გარდა ტყავისა, თითოეული მელა ივიარცნება და წლის განმავლობაში 50 გრამ ბეწვს იძლევა. იგი საქსოვ მრეწველობაში გამოიყენება. მოკლულ და გატყავებულ მელას ხორცს ხარშავენ. — მას ძალიან ნაზი ქონი აქვს და საპნის მოსახარშავად იყენებენ.

ჯერ გადაარჩივენ მეურნეობისათვის საჯიშე მელებს, დასაკლავ მელებს კი ცალკე გამოყოფენ. მზე აფუჭებს ბეწვს. ამიტომ დასაკლავ მელებს გადახურულ გალიებში ამყოფებენ. თუ მელას კანი ჯერ კიდევ მო-



ბაკურიანის  
მელი

ლურჯო ფერისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბეწვი მოუშინებელია, ხოლო როცა კანი ვარდისფერი გახდება, ბეწვიც მოშინებულა—მელა შეიძლება დაიკლას და გატყავდეს. დაკლამდე ერთი თვით ადრე მელას აძლევენ საქმლის მხოლოდ ნახევარ ნორმას,—ამიშინებენ მას, რომ ბეწვი ხარისხიანი გამოდგეს. ნორმურ-დეკმბრის თვეებში ხდება ტყავის სრული მოშინება. დაკვლა ხდება ელემტროდინის საშუალებით—ორ ნემსს უჩხვლეტენ მელას ორივე მხარეზე და მერე ჩართავენ ელდენს. მელაც სწრაფად კვდება. ასე იმიტომ კლავენ, რომ კანი არსად დაუზიანდეს, ბეწვი სისხლით არ დაისვაროს. შემდეგ ტყავს განსაკუთრებული საშუალებებით ამზადებენ, სპეციალური წესების დაცვით.

ერთხელ „შავერცხლისფერ დედამელას დაებადა ლეკვები. მათ შორის 5 შავი ფერისა იყო, ერთი—თეთრი. თეთრი მელა! ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო.

თეთრ დედალ ლეკვს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა გაუწიეს. როცა გაიზარდა, შავი ფერის მამალ მელას შეაჯვარეს. მათგან მიიღეს ოთხი შავი და ერთი თეთრი მელა. ამ მეორედ მიღებულ თეთრ მელას „ბაკურიანის თეთრი მელა“ დაარქვეს.

ასე წარმოიშვა და მომზადდა „ბაკურიანის თეთრი მელა“. იგი პირველი საუკეთესო ჯიშია მთელს მსოფლიოში და უძვირფასეს და ულამაზეს ბეწვს იძლევა.

**ბალაბიონ მინდაძე**





1. ტყუპნი არიან, თუმც ერთად ვერ თავსდებიან, ვერა; ზამთარში მეტობს გიშვრა, ზაფხულში სქარბობს ქერა.
2. თურმე უხსოვარ დროიდან შვილი გაექცა დედას; ხუთმეტ დღეს დედა ძლივს არჩევს, — ხუთმეტ დღეს ნათლად ხედავს. — შვილი გარს უფლის შორიდან, მისვლას კი ვერა ბედავს.

დ. ძმამიძე

1. წყალში იბადება, წყლისა კი ეშინია.
2. დღისით შუშა ტყდება, ღამით ჩაისმება.
3. მომსვლელს და წამსვლელს ყველას ხელს ართმევს.
4. ტანი არა აქვს, უფნოთ ლაპარაკობს, ვერავინ ხედავს, ყველას კი ესმის.

№ 8-ში მოთავსებულ პარტიკროს-ვორლჟერენული

- ვერტიკალური I
1. სერვანტესი, 2. წერეთელი, 3. ამება, 4. ვენერა, 5. ლომონოსოვი, 6. არაგვი.

- ჰორიზონტალური
7. ისკრა, 8. კუტუშოვი, 9. ვარშავა, 10. დუნაი, 11. ი-(თვით), 12. მენჯი, 13. დედა.

- ვერტიკალური II
14. შვერთება, 15. ელისო, 16. ნეონი, 17. ინდოეთი, 18. აფრიკა.

დავით გურამიშვილის ცნობილი აფორიზმი: „სწავლა სიკვდილზე უნია“.

\* \* \*

შილერის გამოცანაზე:

მთვარე და ვარსკვლავები.

შინაარსი

33

- ა. ონელი — გამარჯობა სექტემბერი (ლექსი) 1
- ბ. ისწავლეთ წარჩინებულად! (წერილი) 2
- გ. ჩაჩანიძე — ბელადის სურათი (მოთხრობა) 3
- დ. ვაბაშური — ირბის მთაზე (ლექსი) 4
- ე. კაკაბაძე — უკანასკნელი რაუნდი (მოთხრობა) 5
- ვ. ზანგურაშვილი — მტკვარი (ლექსი) 8
- ზ. აბაშიძე — ბულაბური (ნარკვევი) 9
- თ. დოლაძე — გამარჯვებულნი (წერილი) 11
- ი. ბოზობიძე — შრომის გმირებთან (ლექსი) 12
- კ. შერაზადიშვილი — „დედაენის“ ფურცლები (ლექსი) 13
- ღ. თოდრაძე — ქართული ცხვარი (წერილი) 14
- ყ. კასრაძე — მეფე ვრეკლე და ზემონიქოზელი

- დედაბერი (მოთხრობა) 15
- ო. ქურჩიშვილი — ი. პ. პაელოვი (წერილი) 17
- ი. ინასარი — გმირი ვი (მოთხრობა) 19
- შ. დავითაშვილი, დ. ქუმსიშვილი — გამომგონებელი მტრის ზურგში (ნარკვევი) 23
- თ. საჯაია — ჩაბაძე (წერილი) 26
- დ. გარეილაძე — ხანძარი (პოემა) 28
- ვ. მინდაძე — ბაკურიანის მელა (წერილი) 31
- გამოცანები 32
- ბ. ივანიშვილი — ეულაბიეწი (არაქი) გარეკანის მე-3 გვ. შესრულებულია მხატვარ ალ. გიგლაშვილის მიერ. გარეკანის მე-4 გვერდზე მხატვარ შ. მაყაშვილის ნახატი „ნორჩი მხატვარი მოთბენი“.



პასუხისმგებელი რედაქტორი ზ. კახუნიძე

პასუხისმგებელი მდივანი გ. თორღუა

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიანიშვილი, გ. თავაშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, თ. ნემსაძე, ზ. შენგელია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 03699 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეჯ. № 100 სტამბის შეჯ. № 1154  
დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.  
ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



# გ უ ლ მ ა ვ ი ნ ყ ი

აბაკი

გურამს დედამ სამხარეულოდან წყლის შემოტანა დაავალა. მან სურა შეუდგა წყალსადენს, ონკანი მოუშვა და რას ჰხედავს: ნათქურას ამოუწევია, სამხარეულო ჰეპარტლით ივსება. გურამმა სურას თავი დაახეზა და ნათქურას მიადგა. უნდა ჩეწოა, მაგრამ ცეცხლს წყალი ამოშრო ქვაბში და ხორცი იწვოდა. «ჯერ ქალაღს მოვიტან და ქვაბს გადმოვდგამ», იფიქრა გურამმა და ქვაბს თავი დააწება. აივანზე გავლისას მის წინ დაეცა მეზობლის ბიჭის მიერ გამოსროლილი ბურთი. გურამმა ბურთის ფეხი გაჰკრა და თითონაც ბურთს გასდია, წამოეწია, მეორედ გაჰკრა ფეხი ბურთს, ახლა უფრო ორიწვრად. ბურთი თინიკოს ეზოში გადაეარდა. გურამი გაიქცა მის მოსატანად. მას ეზოში მისი სკოლის მოსწავლე გვი მიხვდა და საყვედრით მიმართა:

— გურამ, სად დაიკარგე, შენ ხომ ამ დილას ჩემთან უნდა მოსულიყავი სამეცადინოდ!

— ახლა ვიმეცადინოთ. — მიუგო გურამმა.

— ჩემი წინი რომ შენთან არის, რატომ არ მოიტანე?

— წვეალ და მოვიტან. — უთხრა გურამმა გივის და შინისკენ გაემართა.

ამ დროს გურამს მეზობლის ბიჭმა დაუძახა:

— ბურთი რა უყავი?

— ახლავე მოვიტან. — მიუგო გურამმა და ბურთის მოსატანად კვლავ თინიკოს ეზოსაკენ გაემართა. ეზოს კარებთან გურამს მეზობელი მოხუცი შეხვდა.

— შენ რომ ხე ღარგე, მოუვლელიობით ხმება, წყალს რატომ არ უსხამ?! —

— წვეალ და დევუსხამ. — მიუგო გურამმა და კვლავ შინისკენ გაემართა.

შინისკენ მიმავალ გურამს გზაზე ცხენით მიმავალი მეგობარი შემოხვდა.

— აქ რას აკეთებ, გურამ, — მიმართა ცხენოსანმა, ტყეში, ნაწვიმარზე იმდენი მარწყვი ამოსულა, მოკრეფას ვერ აუხვალ, წამოდი, მოვკრიფოთ.

— წვაიღეთ. — მიუგო გურამმა და ცხენზე შემოუჯდა. გურამი და მისი მეგობარი კარგა ხანს მიდიოდნენ ტყისაკენ. ფერობზე რომ ავიდნენ და უკან მოიხედეს, უცნაური რამ ნახეს: მათი დაბა წყალს დედებარა.

— რა მოხდა? — იკითხა გავკირეებულმა გურამმა და მხოლოდ ახლა დაახსენდა, რომ მას წყალსადენის ონკანი მოშვებული ღარჩა.

მართლაც გურამის ბრალი იყო ეს ყველაფერი: წყალმა ჯერ სურა აავსო, შემდეგ სამხარეულო, მერე გურამის ეზო და ეზოს გალავანს რომ გადმოცილდა, — მთელ დაბას მოედო.

გურამმა თვალი მოჰკრა ატივტივებულ თაბახს, მეგობარს თავი მიანება, თაბახში ჩაჯდა და მდინარის ტალღებს მიჰყვა. ტალღებმა გურამი ატარა, ატარა და ჩემთან მოიყვანა.

— ძია, როგორ მოვიქცე? — მკითხა გურამმა.

მე კი მას მიუგვი:

— დაწყებული საქმე, უნდა დაამთავრო!

**ბ. ივანიშვილი**

1772  
ფანი 5 მან.

საქართველო  
ბიზნეს-სამსახური

